ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 21 ნოემბერი, 2017 | №276 (7511) | ფასი: 50 თეთრი

### უჩა ნანუაშვილი: „გიგა ბოკერიასთვის „ტოლერანტობის ქომაგის“ ჯილდო მე არ მიმიცია“



გვ.2

რატომ დაუბრუნა ნაირა გელაშვილმა ჯილდო ომბუდსმენს

21 ნოემბრიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

# „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი იქნება?



გვ.3

### „გახარიას პრემიერობისთვის ამზადებენ“



რამდენადაც ვიცი, „ოცნებაში“ საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევაზე კასტინგი ჯერ არ დაწყებულა. მმართველი გუნდიდან გამოსული ინფორმაციით, პრეზიდენტობის კანდიდატი არც კვირიკაშვილი იქნება და არც ღარიბაშვილი.



### თამაზ მეჭიაური: „კუცნაშვილი საბოტაჟს მიწყობს“



გვ.4

„იმპიჩმენტის არ მეშინია“

### „ჩემი ცოლის დაქალების“ მსახიობს 15 პირი სასტიკად გაუსწორდა“



გვ.4



გვ.2

### დავით დარჩიაშვილი: „კალაძეს საფუძველი აქვს, ავტონომიურ მოთამაშედ იქცეს“

### სოსო შატბერაშვილი: „ლარის გაუფასურება არჩევნებში გაწეულ ხარჯებს უკავშირდება“



გვ.5

„ხელისუფლებას მედიკამენტებსა და ზოგიერთ სასურსათო პროდუქციაზე ზღვრული ფასების დაწესება შეუძლია“

## სამართალი

გვ.7



### ადვოკატი: „აფგან მუხთარლის დაკითხვა ქართველ პროკურორებს არ მოუთხოვიათ“



### დათა ახალაიამ სანდრო გირგვლიანის საქმეზე შესაძლოა სასამართლოს ჩვენება მისცეს



### მარტვილში საკრებულოს მაღალჩინოსანი საკრებულოს სხდომის დაწყების წინ დააკავეს

## ეკონომიკა

გვ.6

### თბილისის მერია საკრებულოდან დედაქალაქის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტს უკან გამოითხოვს



### ავტოგაზი 10 თეთრით გაძვირდა




### საქართველოდან სამკურნალო საშუალებების ექსპორტი გაიზარდა



ISSN 1987-9385

9 771987 938006

3 ზალიკო უდუმაშვილი: „ორი ოლიგარქის ხელისუფლება შეთანხმებულად მოქმედებს“

4 „როდის მოგყავს ცოლი? — როცა გედი გვეტყვის. ვინ მოგყავს? — ვისაც გედი გვეტყვის“

5 ბათუმში მშენებლებმა მე-11 საუკუნის უნიკალური ქვევრი განგებ დააზიანეს

4 სააკაშვილი: „საქართველოში თუ დამაბრუნებენ, გარანტიას გაძლევთ, ძალიან მალე ვიქნები თავისუფალი“

# დავით დარჩიაშვილი: „კალაძეს საფუძველი აქვს, ავტონომიურ მოთამაშედ იქცეს“

ნათია ხურცილავა

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **დავით დარჩიაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იმ მიზეზზე საუბრობს, თუ რატომაც დატოვა თბილისის საკრებულო.

*— ბატონო დავით, პირველ რიგ ში, რატომ დატოვეთ თბილისის საკრებულოს დეპუტატის მანდატი?*

— ჯერ კიდევ სექტემბერში, საარჩევნო კამპანიის დროს, როდესაც ჩვენი საარჩევნო სია წარვუდგინეთ საზოგადოებას, მაშინვე განვაცხადეთ, რომ სიის ნუმერაცია პირობითი იყო და მნიშვნელობა ექნებოდა მაჟორიტარულ ოლქებში, სადაც კენჭს ვიყრიდით, ვინ რა შედეგს დავდებდით. სწორედ ეს პროცენტული მაჩვენებელი გახდებოდა განმსაზღვრელი, თუ ვინ შევიდოდა საკრებულოში. სწორედ ეს იყო მიზეზი.



*— კალაძემ ენერგიულად დაიწყო მერის მოვალეობის შესრულება. ექსპერტები ამბობენ, რომ კალაძეს ამბიცია აქვს და ის ამ ამბიციის მისაღწევად ყველაფერს გააკეთებს. მან უკვე გამოითხოვა ბიუჯეტი, როგორც ამბობს, გაცემულ დანაპირებს არ ყოფნის და ფინანსთა სამინისტროს დედაქალაქის ბიუჯეტის გაზრდა სთხოვა. როგორ ფიქრობთ, როგორი მერი იქნება კალაძე?*

— მართალია კალაძე ოპონენტი არის, ჩვენ პრინციპული სხვაობა გვაქვს, მის პოლიტიკურ გუნდსა და „ევროპულ საქართველოს“ წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, მაგრამ ამავდროულად შემიძლია გითხრათ, რომ მართლაც საკმაოდ ენერგიული ადამიანია. კალაძე პოლიტიკოსად ჩამოყალიბდა და ველი, რომ ის აქტიური იქნება არა მხოლოდ თბილისის საკეთილდღეოდ, არამედ ქვეყნის განვითარების ინტერესი კარგად ექნება გაცნობიერებული, რა დონეზეც ექნება ეს გაცნობიერებული, სწორედ ამის მიხედვით მოიქცევა. ჯერჯერობით მისი იმპულსები წინააღმდეგობრივია, ვგულისხმობ ჭონქაძის ირგვლივ არსებულ ამბავს. თუკი თავის თავს ის თვლის დედაქალაქის წარმომადგენლად, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, ყველას ინტერესების დამცველად, მაშინ რად უნდოდა მსგავსი პერსონალი.

*— ერთადერთი შეცდომა ჭონქაძეა?*

— რაც მე ვიცი, იქიდან გამომდინარე ვმსჯელობ. რასაკვირველია, მეტი ანალიზია საჭირო თუ ვინ არიან დედაქალაქის მთავრობაში სხვა წევრები, რა ტიპის ადამიანები არიან. ასევე გვახსოვს კლანური წახალისებები მისი მხრიდან წარსულში, მაგრამ რამდენადაც მზარდი პოლიტიკოსია, შეიძლება შეეცადოს, რომ წარსულის რადიკალიზმი ნელ-ნელა ჩამოირეცხოს. თუმცა, ჭონქაძის ისტორია აჩვენებს, რომ ეს პროცესი ნელა მიდის.

დანარჩენი კი დამოკიდებული იქნება იმ პროექტებზე, იმ სამუშაოებზე, რასაც შესთავაზებს საზოგადოებას და წარმოადგენს. დანაპირები კი ბევრი გვახსოვს ამ პოლიტიკური გუნდიდან, მაგრამ მისი შესრულება ნაკლებად. ვნახოთ, რა ნაბიჯებს გადადგამს. საკრებულოში ჩვენს ფრაქციას ჰქონდა განსხვავებული წინადადებები, რაც შევთავაზეთ კიდეც, თუ როგორ უნდა გადანაწილდეს ბიუჯეტი, ვერ გეტყვით, რამდენად გაითვალისწინებს.

*— კალაძე, ნარმანიას ანტიპოდი იქნება?*

— ნარმანია არ იყო პოლიტიკური ფიგურა, იქ ივანიშვილმა დასვა.

*— თქვენ ამბობთ, რომ შემსრულებელი იყო?*

— შეიძლება ასეც ვუწოდოთ. მას არ ჰქონდა პოლიტიკური ამბიცია, ის არ იყო პოლიტიკური მოთამაშე. კალაძის შემთხვევაში კი სრულიად საწინააღმდეგო ვითარება გვაქვს. კალაძე არის პოლიტიკური ფიგურა და მას აქვს ამბიციები. გასაგებია, რომ კალაძის გამარჯვება ისევ დიდ წილად ბიძინა ივანიშვილის გავლენებზე არის დამოკიდებული, მაგრამ მას მეტი საფუძველი, მეტი პოტენციალი აქვს, რომ ავტონომიურ მოთამაშედ იქცეს. რას გაბედავს, რამდენს გარისკავს, ეს ყველაფერი ძალიან მალე გამოჩნდება.

*— შესაძლებელია კალაძემ ახალი პოლიტიკური ცენტრის ფორმირება დაიწყოს?*

— რაც აშკარად ჩანს, არის ის, რომ კალაძე მზარდი პოლიტიკური ფიგურაა, მაგრამ რამდენად შესწევს მას ყველა ის უნარი, რომ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ფიგურად იქცეს, დღეს ამის თქმა ცოტა რთულია. ამ ყველაფერს მისი ნაბიჯებიც გამოაჩენს. აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ თუკი მას ამის სურვილი ექნება, მოუწევს ძალიან დიდი წინააღმდეგობების გადალახვა.



**კალაძე მზარდი პოლიტიკური ფიგურაა, მაგრამ რამდენად შესწევს მას ყველა ის უნარი, რომ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ფიგურად იქცეს, დღეს ამის თქმა ცოტა რთულია. ამ ყველაფერს მისი ნაბიჯებიც გამოაჩენს. აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ თუკი მას ამის სურვილი ექნება, მოუწევს ძალიან დიდი წინააღმდეგობების გადალახვა.**

*— სამთავრობო ცვლილებებზე მინდა გკითხოთ, თქვენ რითი ხსნით ამ ცვლილებებს?*

— შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთ-ერთი ლოგიკა ამ სამთავრობო ცვლილებების ისიც იყო, რომ კალაძის გავლენებისგან ცენტრალურ მთავრობაში არაფერი არ დარჩეს. ეს იქნება ენერგეტიკის სამინისტროში თუ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

*— არაერთგვაროვანია პოზიციები იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილება – პრემიერმა კვირიკაშვილმა თუ ივანიშვილმა. თქვენ რას ფიქრობთ, ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილება?*

— საკმაოდ ლოგიკურია რომ ვთქვა, ეს არ იყო კვირიკაშვილის ინიციატივა. ეს ჩანდა თუნდაც გარეგნულადაც, ეს მისთვის მოულოდნელი იყო, ეს აშკარად იკითხებოდა. ხელისუფლების წრეებთან დაახლოებული ექსპერტების მხრიდანაც არაფერი მსგავსი მინიშნება არ ყოფილა, არ ყოფილა არანაირი წინასწარი აზრი გამოთქმული, როგორც იტყვიან, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით იყო. სხვათა შორის, ეს ძალიან ჰგავდა თავის დროზე ღარიბაშვილის გაქრობას სამთავრობო თანავარსკვლავედიდან.

კარგად ნამსჯელი, ნაფიქრი გადაწყვეტილება რომ ყოფილიყო, კვირიკაშვილსაც უფრო მეტი სათქმელი, უფრო მეტი პასუხი ექნებოდა იმ კითხვებზე, რომელიც რეალურად არსებობს. რა დონის ბიუჯეტის დაზოგვაზეა საუბარი, რამდენად არის მომზადებული სამინისტროების ოპტიმიზაციის თუ ერთიდან მეორეში გადასვლის გეგმა, ბევრი კითხვა ისმის. ერთი სიტყვით, კონკრეტიკა არ არის, არის ზოგადი, ბრტყელი ფრაზები არაფრის მთქმელი. შესაბამისად ეს ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ეს გადაწყვეტილება კვირიკაშვილს არ ეკუთვნის.

*— ეს პროცესი შეიძლება გაგრძელდეს? საუბარია წულუკიანის შეცვლაზე...*

— წულუკიანი კიდევ ცალკე ისტორიაა. წულუკიანი შეიძლება ცალკე წევრად, ცალკე მდგომად წარმოვიდგინო და არა რომელიმე გუნდის წევრად და ნაწილად. წულუკიანი ივანიშვილის ცერბერად ჩამოყალიბდა, მაგრამ ამ ცერბერობაში იმდენი იაღლიში მოუვიდა, სახელმწიფო ინტერესებს ევროპულ სტრუქტურებში იმდენად მიაყენა ზიანი, პირველ რიგში, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მოსამართლის შერჩევას ვგულისხმობ. ასევე, მის ბოლო დროს გაკეთებულ განცხადებებს თუ გადავხედავ, არ ვიცი, რა იქნება მის თავს მომავალში.

## უჩა ნანუაშვილი: „გიგა ბოკერიასთვის „ტოლერანტობის ქომაგის“ ჯილდო მე არ მიმიცია“

### რატომ დაუბრუნა ნაირა გელაშვილმა ჯილდო ომბუდსმენს

გუშინ „ტოლერანტობის ქომაგის“ ჯილდოს ირგვლივ მოულოდნელად სკანდალი აგორდა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მწერალმა ნაირა გელაშვილმა სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილს „ტოლერანტობის ქომაგის“ ჯილდო დაუბრუნა.

გელაშვილის განცხადებით, მისი პროტესტი „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, გიგა ბოკერიასა და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისთვის „ტოლერანტობის ქომაგის“ ჯილდოს გადაცემამ გამოიწვია.

— სახალხო დამცველის, მისი აპარატის იდეა არის ჩაგრულთა გვერდში დგომა, დაუცველთა დაცვა და არა მოძალადეების გვერდით დადგომა. მან ნაციონალური მოძრაობის თავკაცებს, ბოროტმოქმედებს მიანიჭა „ტოლერანტობის ქომაგის“ წოდება და თანაც, 7 ნოემბრის 10 წლისთავზე, როდესაც 10 წლის წინ არნახული ხოცვა-ჟლეტა და დარბევა განახორციელა ნაციონალურმა მოძრაობამ ამ ადამიანების მონაწილეობით, ხოლო „რუსთავი 2“ ყოველთვის იყო ამ ბოროტების რუპორი და თანამოქმედი“, – განაცხადა ნაირა გელაშვილმა.



რამდენიმე წლის წინ მწერალს, კავკასიურმა სახლმა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მხარდაჭერისთვის „ტოლერანტობის ქომაგის“ წოდება გადასცა.

ნაირა გელაშვილის გამოსვლის შემდეგ ომბუდსმენმა კომენტარი გააკეთა.

მან გიგა ბოკერიასთვის „ტოლერანტობის ქომაგის“ პრიზის გადაცემის ფაქტთან კავშირი უარყო. უჩა ნანუაშვილმა განმარტა, რომ გადაწყვეტილება რელიგიური საბჭოს წევრთა უმეტესობის მიღებულია, რაშიც მას ჩარევის უფლება არ აქვს.

— ეს იყო საბჭოს გადაწყვეტილება და მე ჩარევის უფლება არ მაქვს. ჩემი პირადი აზრი არა მგონია ვინმესთვის საინტერესო იყოს. მე ვცადე, შერჩევის პროცესი დამეხვეწა, არაობიექტურობა რომ გამორიცხულიყო და ნაწილობრივ გამოვიდა წინა წლებში, ანუ ჩემი გადაწყვეტილება რომ ყოფილიყო, სხვანაირი სია შედგებოდა, – განაცხადა ომბუდსმენმა.

## გია ვოლსკი: „შეუძლებელია საგარეო საქმეთა სამინისტრომ უცხო ქვეყანაში პროცესები შეცვალოს“

— არსებობს თუ არა მექანიზმი იმის, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ როგორღაც ვითარება, ან პროცესები შეცვალოს უცხო ქვეყანაში, მე ამაზე საკმაოდ სერიოზული სხვა აზრი გამაჩნია – ამის გაკეთება, პრაქტიკულად, შეუძლებელია, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა



გია ვოლსკიმ უკრაინიდან დეპორტირებული საქართველოს მოქალაქეების შესახებ და „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ამ ფაქტზე საგარეო საქმეთა მინისტრის, მიხეილ ჯანელიძის პარლამენტში დაბარების შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

— ჩვენ ამის თაობაზე დეტალები არ ვიცით. უკრაინამ გადაწყვიტა, რომ გაეკეთებინა ეს ნაბიჯი. მე ვერ შევაფასებ ამ შემთხვევაში ამ ქმედებას, ამ ნაბიჯს, ვინაიდან არ გვაქვს საწყისი ინფორმაცია. როგორ იმოქმედა საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ეს კიდევ მეორე საკითხია. მე არ მგონია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს არ უნდა ჰქონდეს უახლოეს პერიოდში კონკრეტული პასუხები, თუმცა მექანიზმი არსებობს თუ არა იმის, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ როგორღაც ვითარება, ან პროცესები შეცვალოს უცხო ქვეყანაში, მე ამაზე საკმაოდ სერიოზული სხვა აზრი გამაჩნია – ამის გაკეთება, პრაქტიკულად, შეუძლებელია, – განაცხადა ვოლსკიმ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი იქნება?

შორენა მარსაგიშვილი

## „გახარიას პრემიერობისთვის ამზადებენ"

როდის იგეგმება პრემიერის შეცვლა, ვის ეძახიან „ოცნებაში" გებელსს, რატომ გაჩნდა მმართველ გუნდში მოთხოვნილება ძლიერ ხელზე, შეიცვლება თუ არა ქვეყნის საგარეო კურსი? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ქართული მარშის ერთ-ერთი ლიდერი **ლადო სადღობელაშვილი** ესაუბრება.

***– ლადო, თქვენ სოციალურ ქსელში არაერთხელ დაწერეთ, რომ ახალი შს მინისტრი მალე მთავრობის მეთაური გახდება. ეს მხოლოდ თქვენი ვარაუდია თუ რაიმე კონკრეტულ ინფორმაციას ფლობთ?***

– მეტი რაღა ინფორმაციას უნდა ვფლობდე, ეს ადამიანი შს მინისტრად და ვიცე-პრემიერად დაინიშნა, ეს პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ გახარია ძალიან მალე პრემიერი გახდება. ამ საკადრო ცვლილების მომსწრენი შეიძლება წლის ბოლოსაც კი გავხდეთ. სამთავრობო ცვლილებები მომწიფებულია და საკადრო კარუსელი კიდევ დატრიალდება.

გახარიას გაპრემიერება ბევრისთვის ძალიან მტკივნეული იქნება. ჩემი აზრი თუ ვინმეს აინტერესებს, გეტყვით, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იქნება. რასაც ამ ადამიანს ვუყურებ, ის ზომიერი და გაწონასწორებული პიროვნებაა.

***– ზომიერი და გაწონასწორებულია გიორგი კვირიკაშვილიც.***

– სად გახარია, სად კვირიკაშვილი. მოქმედ შს მინისტრს არ ექნება ისეთი კლანური მმართველობა, როგორიც პრემიერს აქვს. ბევრმა შეიძლება თქვას, რა კლანი აქვს მთავრობის მეთაურსო. მათ გასაგონად მინდა ვთქვა, რომ ბატონ კვირიკაშვილზე თავიდან ბოლომდე ჩამოკიდებულები არიან ხაინდრავები, ხაზარაძეები, გრეჩიხები. ეს აგრესიული მიმართულება არ გახლავთ, მაგრამ მაინც კლანურ ელემენტებს შეიცავს.

გახარიას გაპრემიერების შემთხვევაში კლანური მმართველობა არ იქნება და ერთი სული მაქვს, როდის გახდება ის მთავრობის მეთაური.



***– ივანიშვილს ძლიერი პრეზიდენტი უნდაო, ეს ცოტა დაუჯერებელია. მარგველაშვილმა ცოტა ფხა გამოიღო თუ არა, ლამისაა, ცოცხლად შეჭამონ კაცი.***

– ძლიერს როცა ვამბობ, ბიძინასადმი დაუმორჩილებლობას არ ვგულისხმობ. იმაზეც შევთანხმდეთ, რომ სანამ ხელისუფლება არ შეიცვლება, პრემიერსაც, პრეზიდენტსაც და პარლამენტის სპიკერსაც ივანიშვილი გააკონტროლებს.

გახარიას გაპრემიერების შემთხვევაში საქართველოში რუსული გავლენა გაძლიერდება.

***– რა სასიხარულო ინფორმაციაა.***

– მესმის, რომ ეს კარგი ამბავი არ არის, მაგრამ ეს არის ტრამპის პრეზიდენტობის გამოძახილი.

***– ტრამპი რაღა შუაშია?***

– შუაში კი არა თავშია. ყველასთვის ცხადია მისი დამოკიდებულებები რუსეთის მიმართ. წინამორბედებისგან განსხვავებით, მას არც ნატოს გაძლიერება აინტერესებს. იმ ნატოშიც არავინ გვიშვებს.

აშშ-მ ნათლად მიგვანიშნა, რომ მას რუსეთთან კონფრონტაცია არ სჭირდება და ამ საქმეში აღარც საქართველოს გამოიყენებს. შესაბამისად ნაკლები ყურადღება მოგვექცევა ჩვენ. მოკლედ რომ გითხრათ, ტრამპს სხვა პრიორიტეტები აქვს და საქართველოსთვის არ სცხელა.



**რამდენადაც ვიცი, „ოცნებაში" საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევაზე კასტინგი ჯერ არ დაწყებულა. მმართველი გუნდიდან გამოსული ინფორმაციით, პრეზიდენტობის კანდიდატი არც კვირიკაშვილი იქნება და არც ღარიბაშვილი.**

რუსეთი არც მე მიყვარს, მაგრამ გვინდა თუ არა, ამ ქვეყანასთან ურთიერთობა რაღაცნაირად უნდა დავალაგოთ. უახლოესი 8 წელი ასე უნდა იყოს და მერე ვნახოთ.

***– უახლოესი 8 წელი რატომ?***

– ტრამპს გადაირჩევენ და მერე აშშ-ის კურსიც შეიცვლება.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ტრამპს მეორე ვადითაც აირჩევენ? მის გადადგომას უკვე ახლა ითხოვენ და მეორედ როგორ აირჩევენ?***

– ძალიან ლამაზად აირჩევენ. აშშ-ის პრეზიდენტად რომ ხდება ადამიანი, მას მეორე ვადითაც ირჩევენ. ახლაც ასე იქნება.

***– სხვა პრეზიდენტებისგან განსხვავებით, ტრამპი ასაკშია. ჯვარი სწერია და ხომ შეიძლება შეუძლოდ გახდეს?***

– თავს საკმაოდ კარგად უვლის და კაი ფერზეა. მეორე ვადითაც თავისუფლად გაქაჩავს პრეზიდენტობას. სანამ ეგ იქნება პრეზიდენტი, მოგვიწევს მოსკოვთან დიალოგი. იმას არ ვამბობ, რომ დასავლურ კურსს უნდა გადავუხვიოთ, ან დასავლური ღირებულებები უარვყოთ, მაგრამ რაღაცების გარკვევა მოგვიწევს.

ტრამპის ფაქტორის გარდა, ერდოღანიც არ უნდა დავივიწყოთ. თურქეთი ყოველდღე უახლოვდება რუსეთს. ამის გამო ის ნატოდან არ გაურიცხავთ და არაფერი დაშავდება, თუ ჩვენც დავალაგებთ მოსკოვთან.

თუ საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან სიტუაციის დალაგება გადაწყვიტა, თანამდებობას შეინარჩუნებს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძეც. გახარიას მსგავსად, მასაც რუსეთში აქვს უმაღლესი განათლება მიღებული.

***– მისი რუსული განათლება რას მისცემს ქვეყანას?***

– რაღაც კავშირები აქვს და დაელაპარაკება მათ. თავის კოლეგას დაუკავშირდება.

***– ლავროვთან ლაპარაკი როგორი იოლია.***

– იოლი არავისთან არ არის საუბარი. ჩვენ უნდა დავიწყოთ და ვნახოთ, რა გამოვა. ისე ჯანელიძეს რუს კოლეგასთან საუბარი ცოტა გაუჭირდება. ცოტა ხნის წინ ისინი ერთმანეთს სადღაც შეხვდნენ და ჩვენი ისე დაიბნა, ლავროვს კარი გაუღო.

***– რას ნიშნავს კარი გაუღო?***

– სადღაც შედიოდნენ, ლავროვი რომ დაინახა, კარი გაუღო და დარბაზში შეატარა.

***– ლავროვი ჩვენებურზე ასაკით უფროსია და პატივისცემა გამოუჩენია ადამიანის მიმართ.***

– დიპლომატიაში ეს მიღებული არ არის. ასე რომ, ეს ლამაზი საქციელი არ ყოფილა.

***– რა შეხვედრაზე მოხდა ეს ინციდენტი?***

– ერთ-ერთ საერთაშორისო ფორუმზე. ადგილს ვერ გეტყვით, რადგანაც არ მინდა ის ადამიანი ჩავაყენო უხერხულ მდგომარეობაში, ვინც ამის შესახებ მიამბო.

***– მოდით, სამთავრობო ცვლილებებს შევეშვათ და ქართულ მარშზეც გვითხარით რამდენიმე სიტყვა. იშლებით თუ არა?***

– ვიშლებით, ბატონო, ვიშლებით, მაგრამ ჩვენი მტრები ნუ გაიხარებენ. რამდენიმე თვეში ჩვენ პარტიად გადავკეთდებით.

***– როდის მოხდება ეს?***

– ახალი წლების შემდეგ. ჩვენ ვიქნებით მემარჯვენე პარტია, რომელიც ეროვნულ ღირებულებებზე იქნება ორიენტირებული.



**ლადო სადღობელაშვილი: „ჯანელიძე ლავროვის დანახვაზე ისე დაიბნა, კარი გამოუღო"**

ეს ქვეყნისთვის იქნება კარგი.

***– მოქმედი პრემიერის მიმართ ერთ-ერთი მთავარი პრეტენზია ისაა, რომ დამოუკიდებლად ვერ ღებულობს გადაწყვეტილებებს. გაპრემიერების შემთხვევაში გახარია იქნება ივანიშვილისგან დამოუკიდებელი? მე ამის ნაკლებად მჯერა.***

– ივანიშვილისგან დამოუკიდებელი ვერავინ იქნება. გვინდა თუ არ გვინდა, ივანიშვილს ხელისუფლებაზე გავლენა ექნება. კვირიკაშვილთან შედარებით შს მინისტრი უფრო დამოუკიდებელი ფიგურა იქნება. მე ამ პიროვნების მართვის სტილს ბერიას სტილს შევადარებდი.

მას თანამშრომლები და გარემოცვა გებელსს ეძახის. ყველა აღიარებს, რომ ის ძლიერი ხელის მატარებელია. ეს ძლიერი ხელი ქვეყანას 2 წელია ძალიან აკლია. მის შესახებ რაღაცები გავიკითხე და გავარკვიე, რომ ნაციონალებთან კავშირში არ არის. და არა მგონია, დამნაშავე რეჟიმთან თანამშრომლობით გაიფუჭოს იმიჯი.

მე ბიძინა ნამდვილად არ ვარ, მაგრამ რაღაც ინფორმაციები მაქვს მთავრობაში მოსალოდნელ ცვლილებებზე. მორიგი ცვლილებები ნამდვილად იქნება. საკადრო ცვლილებების გარდა, მმართველობის სტილიც შეიცვლება.

***– მმართველობის სტილის შეცვლაში რას გულისხმობთ?***

– კვირიკაშვილი მთავრობის მეთაურად საგარეო საქმეთა სამინისტროდან მოვიდა და მან დიპლომატიური დაიჭირა – არც მწვადს წვავს და არც შამფურს. გახარია დიპლომატიაზე უარს იტყვის და მძიმე ხელის მატარებელი იქნება. საქართველოს დღეს ყველაზე მეტად ძალიან მძიმე ხელი სჭირდება.

მოდით ვაღიაროთ, რომ ჩინოსნებმა ძალიან აიშვეს და მათ შესაჩერებლად მძიმე ხელია საჭირო.

***– შეძლებს გახარია ამ აშვებულების მოთოკვას?***

– მაგიტომაც ამზადებენ პრემიერად, რომ ამის გაკეთება შეუძლია. კიდევ ერთხელ გეუბნებით, გახარია არ იქნება კვირიკაშვილის ტიპის პრემიერი, რომელიც არც მწვადს წვავს და არც შამფურს.

***– კვირიკაშვილის შესაძლო შეცვლაზე ადრეც მიდიოდა საუბარი. იყო ასეთი მოსაზრებაც, რომ ის „ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატი იქნება.***

– ეს მოსაზრება მეც მოვისმინე, მაგრამ რამდენადაც ვიცი, „ოცნებაში" საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევაზე კასტინგი ჯერ არ დაწყებულა. მმართველი გუნდიდან გამოსული ინფორმაციით პრეზიდენტობის კანდიდატი არც კვირიკაშვილი იქნება და არც ღარიბაშვილი.

***– რამდენიმე თვის წინ ამბობდით, ღარიბაშვილი იქნება „ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატიო.***

– მაშინ ამ თემაზე აქტიურად მიდიოდა საუბარი. მერე რაღაცები სერიოზულად შეიცვალა.

***– და ირაკლი ღარიბაშვილი ჩამოწერეს?***

– გუნდში მისი ჩამოწერის სურვილი ბევრს ჰქონდა. ჩამოწერით ვერ ჩამოწერეს, მაგრამ დროებით გვერდზე გაწიეს.

რაც შეეხება „ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატს, გუნდში აქტიურად მიდის იმაზე მსჯელობა, რომ ის ქალი იყოს. შერჩეული ჰყავთ რამდენიმე კანდიდატურაც.

***– ვინ არიან ეს ქალები?***

– მათი ვინაობის დასახელება არ მინდა. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ეს ქალები პარლამენტში არიან.

***– თამარ ჩუგოშვილი არის პარლამენტის ვიცე-სპიკერი. საკმაოდ დიდი გავლენებიც აქვს. ის ხომ არ იქნება პრეზიდენტობის კანდიდატი?***

– უი, რას ამბობთ, მაგის პრეზიდენტობაღა აკლდა ამ ქვეყანას. ღმერთმა დაგვიფაროს მაგისგან. საუბარია უფრო დამოუკიდებელ პერსონაზე. ჩუგოშვილი კი სოროსზეა დამოკიდებული.

***– პარლამენტში ყველაზე დამოუკიდებელი ქალი დეპუტატი სალომე ზურაბიშვილია. მისი კანდიდატურა განიხილება?***

– მე არაფერს არ ვადასტურებ და არც უარვყოფ. „ოცნება" დამოუკიდებელ ფიგურას ეძებს. დაველოდოთ და ვნახოთ. როგორც მე ვიცი, ივანიშვილს ძლიერი პრეზიდენტი უნდა, რომელიც პრემიერ გახარიას საპირწონე იქნება. ასეთი პრეზიდენტი ღარიბაშვილი იქნებოდა, მაგრამ ის დროებით გვერდზეა გაწეული.

## ზალიკო უდუმაშვილი: „ორი ოლიგარქის ხელისუფლება შეთანხმებულად მოქმედებს"



ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ზალიკო უდუმაშვილი აცხადებს, რომ „უკრაინისა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოს მოქალაქეებს შეთანხმებულად დევნიან".

თბილისის მერობის ყოფილი კანდიდატი დღეს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან იმყოფებოდა. მისი თქმით, უწყებამ კონკრეტული პირები სწორედ პოლიტიკური ნიშნით გამოარჩია და უკრაინაში მათი გატაცების და რამდენიმე დღით გაუჩინარების ფაქტზე სათანადო რეაგირება არ მოუხდენია.

– პოროშენკოს ხელისუფლება, ყოველგვარი საერთაშორისო სამართლებრივი კანონების დარღვევით, საქართველოს მოქალაქეებს იტაცებს, იპარავს. ამ ადამიანების შესახებ არაფერი ვიცით ხოლმე და შემდეგ ასე, დეპორტირებულები ჩამოდიან საქართველოში. ერთია რას აკეთებს უკრაინის ხელისუფლება საქართველოს მოქალაქეების მიმართ, და მეორე – რას არ აკეთებს საქართველოს ხელისუფლება საკუთარი მოქალაქეების დასაცავად. საქართველოს მოქალაქე ყველგან უნდა იყოს დაცული, ამას საგარეო უწყებას კონსტიტუცია ავალებს. მთელი ამ დღეების განმავლობაში ჩვენ ერთი განცხადებაც კი არ მოგვისმენია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან, თუ რას აკეთებს ის საქართველოს მოქალაქეების დასაცავად. ეს ადასტურებს იმ ეჭვებს, რომ ორი ოლიგარქის ხელისუფლება შეთანხმებულად მოქმედებს და ამ საკითხში სრული თანამშრომლობა მიმდინარეობს, – აღნიშნა ზალიკო უდუმაშვილმა.

# თამაზ მექიაური: „ქუცნაშვილი საბოტაჟს მიწყობს“

## „იმპიჩმენტის არ მეშინია“

შორენა მარსაგიშვილი



### თიანეთის მერი „ოცნების“ ლიდერებთან აპირებს შეხვედრას

თიანეთში ფშაური ელ კლასიკო გრძელდება – თამაზ მექიაური და ზაქარია ქუცნაშვილი მორიგებას ვერ ახერხებენ. თვითმმართველი თემის მერი მაჟორიტარ დეპუტატს საბოტაჟში ადანაშაულებს.

რატომ შეჰყავს აუდიტი მერიაში, მოხდება თუ არა მისი იმპიჩმენტი, რაზე აპირებს „ოცნების“ ლიდერებთან საუბარს? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ თიანეთის მერი თამაზ მექიაური ესაუბრება.

**თამაზ მექიაური:**

– 20 ნოემბერს თიანეთის საკრებულოს სხდომა გაიმართა, სადაც კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ადგილი აქვს საბოტაჟს. მე მოვუწოდებ ამ ადამიანებს, რომ ნუ ჩაყვებიან ვიღაცებს პოლიტიკურ სამარეში და ის გადაწყვეტილება მიიღონ, რაც მუნიციპალიტეტისთვის აუცილებელია.

აქ ძირითადად რაც ვნახე და პრობლემის წინაშე დავდექით, იყო ის, რომ სოციალური დახმარებებისთვის გვაკითხავს ხალხი და გამოყოფილი სახსრები მთლიანად არის ათვისებული. მეოთხე კვარტალიც, მათ შორის. ასევე, გარე განათებისთვის გამოყოფილი სახსრები არის აბსოლუტურად ათვისებული. დავალიანების გადახდის ვადა 20 ნოემბერს ამოიწურა, ჩვენ კი ფული არა გვაქვს, რომ გადავიხადოთ.

***– თიანეთს ჩაბნელება ემუქრება?***

– აქამდე საქმე არ მივა. ჩვენ კიდევ ვითხოვეთ დრო და რაღაც თანხებს გამოვნახავთ. აქ მთავარი ისაა, რომ წარმომადგენლობითი ხარჯების 70% თითქმის გადარიცხულია ზაქარია ქუცნაშვილის კერძო დუქანზე.

20 ნოემბერს გამართულ საკრებულოს სხდომაზე მოვითხოვეთ, რომ გადახარჯული თანხების აღდგენა მომხდარიყო. ამისთვის ჯერ ძველი საკრებულოს სხდომის მოწვევა ვითხოვეთ, მაგრამ ის სხდომა ჩაშალეს. ახალმა საკრებულომ რატომღაც თავი შეიკავა.

მე ახალ საკრებულოს თხოვნით მივმართე, რომ 21 ნოემბერს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართოს, რათა ჩვენი წინამორბედის გაფუჭებული საქმე ნაწილობრივ მაინც გამოსწორდეს. სხვა თუ არაფერი, უკიდურესად გაჭირვებულებს და ავადმყოფებს რომ მაინც დავეხმაროთ.

კიდევ ერთხელ ვთხოვე „ქართული ოცნების“ დეპუტაციას, განსაკუთრებით მაჟორიტარებს, კონსულტაციების გავლა. მინდოდა ერთობლივად შეგვერჩია ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც მომავალ წელს უნდა განხორციელდეს. მათ ამაში მონაწილეობაზე უარი თქვეს.

***– რა მიზეზით?***

– მგონი, ძნელი მისახვედრი არაა, ვისი ხელი ურევია ამაში და ვისი მოთხოვნით თქვეს უარი განხილვაში მონაწილეობაზე. ეს მაშინ ხდება, როცა ამ გუნდის წევრმა, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა, თავად გადმომცა იმ ობიექტების ჩამონათვალი, რომელთა რეაბილიტაცია შეიძლება ჩასმული იქნას მომავალი წლის გეგმაში. შეგახსენებთ, რომ ეს ობიექტები მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში წინა ხელისუფლებამ ჩასვა.

ვიღაცები მაქსიმალურად ცდილობენ, რომ თიანეთში ჯანსაღ პროცესებს ხელი შეუშალონ. ამის შესახებ მე გუბერნატორიც ჩავაყენე საქმის კურსში. ზოგიერთებს მოვუწოდებ, რომ საბოტაჟს თავი დაანებონ. ეს შეიძლება ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში გადაიზარდოს. ეს საბოტაჟი ერთი პიროვნების ინტერესზეა მხოლოდ მორგებული და ეს თიანეთს არ წაადგება.

***– თქვენ აქტიურად საუბრობთ საბოტაჟზე. ისინი კი ამბობენ, რომ საქმე შესაძლოა თქვენს იმპიჩმენტამდეც მივიდეს. მერის იმპიჩმენტისთვის საკრებულოს 2/3-ია საჭირო. „ქართულ ოცნებას“ თიანეთის საკრებულოში იმპიჩმენტისთვის საჭირო ხალხი ჰყავს. თქვენ გამორიცხავთ იმპიჩმენტს?***

– არაფერს არ გამოვრიცხავ. რაც უნდა, ის გააკეთონ. იმპიჩმენტის პროცედურის დასაწყებად საჭირო ხალხი ჰყავთ, მაგრამ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას სჭირდება მიზეზი.

***– მიზეზად შეიძლება ის დაასახელონ, რომ კაპოტზე გიყვართ წახემსება.***

– მიზეზების მოძებნა არ გაუჭირდებათ, მაგრამ პროცედურა რომ დაიწყონ, ამისთვის 6 თვეა საჭირო. ახლავე ვაცხადებ, რომ იმპიჩმენტის არ მეშინია. ვიღაცას თუ ჰგონია, რომ ამით დამაშანტაჟებენ და იმპიჩმენტის შიშით რაღაცას დავთმობ, ძალიან ცდება.

ქუცნაშვილისგან განსხვავებით, თიანეთში საშოვარზე არ ჩამოვსულვარ. შესაბამისად, არც იმის შიში მაქვს, რომ სკამს დავკარგავ. მე აქ არანაირი ბიზნესინტერესი არ მაქვს და არც სამომავლოდ გამოვიჩენ ამ ინტერესს. ის ხელფასი, რაც მერობისთვის უნდა ავიღო, ქელეხებშიც არ მეყოფა სიებში ჩასაწერად.

ასე რომ, ქუცნაშვილთან გარიგებაზე წასვლას არ ვაპირებ და იმისიც მჯერა, რომ „ოცნების“ დეპუტაციაში ბევრი წესიერი ადამიანია. ისინი თანდათან მიხვდებიან, რომ ასეთი გზით სიარული მათ ავტორიტეტს დააზიანებს. ქუცნაშვილისთვის პოლიტიკურ სამარეში ჩაყოლა არც მათ წაადგება და არც – თიანეთს.

მარტო მათი წესიერების იმედად დარჩენას არ ვაპირებ და ამ საბოტაჟზე აუცილებლად შევხვდები „ოცნების“ ლიდერებს. ისინი ჩემი ყოფილი თანაგუნდელები არიან და მათთან მისვლა არ გამიჭირდება. „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობას ჩავაყენებ საქმის კურსში და ისინი თავად გაერკვევიან.



***– ცოტა ხნის წინ თქვით, რომ მერიაში აუდიტის შეყვანას აპირებთ. ეს ძალაში რჩება?***

– რა თქმა უნდა. აუდიტმა უკვე შეგვიტანა თავის სამოქმედო გეგმაში. რამდენადაც ვიცი, წლის დასაწყისში დაიწყება თიანეთის მერიის შემოწმება.

## „ჩემი ცოლის დაქალების“ მსახიობს 15 პირი სასტიკად გაუსწორდა“



სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ მსახიობ საბა უგრეხელიძეს თავს დაესხნენ. მსახიობი სასტიკადაა ნაცემი. ამასთან, გულ-მკერდის არეში ბასრი საგნით მიყენებული ჭრილობები აღენიშნება.

საბა უგრეხელიძე ყვება, რომ ქალაქის ცენტრში თავს 15 პირი დაესხა. მსახიობი არ გამორიცხავს, რომ ანგარიშსწორება ორგანიზებული იყო და სერიალში შესრულებულ როლს უკავშირდებოდეს.

– ხმა მომესმა, შაგუს ძმაკაციო. იმდენად აქტუალურია შაგუ და ზოგადად „ჩემი ცოლის დაქალები“, ჩვეულებრივ მომენტად ჩავთვალე. საუბარში ცოტა დაიძაბა სიტუაცია... ვიგრძენი ბლაგვი საგნის ჩარტყმა, შემდეგ დანით ჭრილობა ფილტვამდეა ჩასული, – ამბობს მსახიობი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება დაწყებულია და სსკ-ის 120-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს.

## პაატა იმნაძე: „ამჟამად საქართველოში 200-მდე ვირუსია გავრცელებული“

– ჯერჯერობით გრიპის ვირუსი არ გამოჩენილა და მის გამოჩენას ველოდებით, თუმცა მის გარდა ამჟამად საქართველოში 200-მდე ვირუსი ცირკულირებს, – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ განაცხადა. ინფორმაციას იპნ-ი ავრცელებს.



იმნაძის თქმით, ამჟამად საქართველოში გავრცელებულ ვირუსებს ახასიათებთ სიცხე, ასევე ხველა და სურდო. მისივე განცხადებით, ანტიბიოტიკები არც ერთ ვირუსზე არ მოქმედებს, შესაბამისად, ანტიბიოტიკები ექიმის დანიშნულების გარეშე არავინ უნდა მიიღოს.

## დაპირისპირება შუახევის საკრებულოში – „ოცნებამ“ საკრებულოს თავმჯდომარე ვერ აირჩია



შუახევის ახლად არჩეულმა საკრებულომ, რომელმაც პირველი სხდომა დღეს გამართა, საკრებულოს თავმჯდომარე ვერ აირჩია. ამის შესახებ „ნეტგაზეთი“ წერს.

საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე „ქართული ოცნების“ კანდიდატს, გიორგი დავითაძეს, რომელიც დაბის მაჟორიტარია, საკრებულოს 23 წევრიდან მხოლოდ 12-მა დაუჭირა მხარი. თავმჯდომარის არჩევისთვის კი 13 ხმაა საჭირო.

გამოცემის ცნობით, შუახევის საკრებულოში 24 წევრიდან 19 მმართველი გუნდის პარტიიდანა და სხდომას 19-ვე ესწრებოდა.

## სააკაშვილი: „საქართველოში თუ დამაბრუნებენ, გარანტიას გაძლევთ, ძალიან მალე ვიქნები თავისუფალი“



– საქართველოში თუ დამაბრუნებენ, გარანტიას გაძლევთ, ძალიან მალე ვიქნები თავისუფალი და უფრო მეტიც, ეს პოროშენკოსთვის ძალიან ცუდად დამთავრდება. ამის შესახებ მანაც იცის და საქართველოს მთავრობამაც, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა კიევში გამართულ პრესკონფერენციაზე. მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლებას მისი დაპატიმრება არ შეუძლია, ასევე საქართველოს მოსახლეობის, სამართალდამცავი უწყებებისა და თავდაცვის საჯარისო ნაწილების უმრავლესობა მხარს მას უჭერს.

## ირაკლი კობახიძე: „პარლამენტი მთავრობის შემადგენლობას ნდობას დეკემბრის ბოლოს ან იანვრის პირველ ნახევარში გამოუცხადებს“



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, მთავრობის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადება, სავარაუდოდ, დეკემბრის ბოლოს ან იანვრის პირველ ნახევარში მოხდება.

როგორც კობახიძემ განაცხადა, კონსულტაციები აღნიშნულთან დაკავშირებით, ახლა დაიწყება.

– მთავრობის მხრიდან არის ინიცირებული მთავრობის შესახებ კანონში ცვლილებების პროექტი. ახლა დაიწყება კონსულტაციები ვადებთან დაკავშირებით. ამის საფუძველზე გაიწერება კონკრეტული გრაფიკი, რომლის მიხედვით, ჯერ მივიღებთ ცვლილებებს მთავრობის შესახებ კანონში და ამის შემდეგ უკვე ნდობა გამოეცხადება მთავრობის ახალ შემადგენლობას. რაც შეეხება ვადას – ეს დამოკიდებულია კონსულტაციებზე, სავარაუდოდ, დეკემბრის ბოლოს ან იანვრის პირველ ნახევარში დასრულდება მთლიანად ეს პროცესი, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## „როდის მოგყავს ცოლი? – როცა გედი გვეტყვის. ვინ მოგყავს? – ვისაც გედი გვეტყვის“



ბორჯომის ახალი მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა ხმაურის ფონზე გაიმართა. დაპირისპირების გამო სხდომა უკვე რამდენჯერმე შეწყდა. კამათის საგანი კი დღის წესრიგი გახდა, სადაც კომისიების დაკომპლექტების წესი საერთოდ არ იყო შეტანილი და რამაც ოპოზიციას აფიქრებინა, რომ „ქართული ოცნება“ დროის მოგებას ცდილობდა.

ოპოზიციამ დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ გაარკვია, რომ მუდმივმოქმედი კომისიების დაკომპლექტების და თავმჯდომარეების არჩევის შესახებ საკითხები არ იყო შეტანილი.

– დღეს ჩვენ ნათელი მაგალითი დავინახეთ, როდის მოგყავს ცოლი? – როცა გედი გვეტყვის. ვინ მოგყავს? – ვისაც გედი გვეტყვის. აი, ეს იყო დღეს აქ და სხვა არაფერი, – განაცხადა ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელმა ბორჯომის საკრებულოში გიორგი გიუაშვილმა.

ოპოზიციამ მმართველ გუნდს გაწერილი გეგმის მიხედვით სხდომის ჩატარების საშუალება არ მისცა. შესვენების შემდეგ კი მმართველმა პარტიამ დღის წესრიგში კიდევ ერთი პუნქტი დაამატა.

თავად სხდომაც ხმაურის ფონზე მიმდინარეობდა, რაც დროებითი სამანდატო და ხმის დამთვლელი კომისიების შემადგენლობის დამტკიცებას მოჰყვა. „ქართული ოცნება“ ითხოვდა, რომ ამ კომისიების შემადგენლობაში მმართველი გუნდის თითო-თითო წარმომადგენელი ყოფილიყო.

საბოლოოდ კი, პროტესტის ნიშნად, უმცირესობაში დარჩენილმა „ქართულმა ოცნებამ“ სხდომათა დარბაზი საერთოდ დატოვა და კომისიების დაკომპლექტება ოპოზიციამ დამოუკიდებლად განაგრძო.

## ნაციონალები ჯანელიძეს პარლამენტში იბარებენ



ნაციონალური მოძრაობა უკრაინიდან ქართველების დეპორტაციის საკითხზე საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძეს პარლამენტში იბარებს.

ოპოზიციური პარტია უწყებას უკრაინიდან გამოძევებული ქართველების მიმართ გულგრილობაში ადანაშაულებს. პარტიის წევრების თქმით, საქართველოს საგარეო უწყებამ კონკრეტული პირები სწორედ პოლიტიკური ნიშნით გამოარჩია და უკრაინაში მათი გატაცების და რამდენიმე დღით გაუჩინარების ფაქტზე სათანადო რეაგირება არ მოუხდენია.

# სოსო შატბერაშვილი: „ლარის გაუფასურება არჩევნებში გაწეულ ხარჯებს უკავშირდება“

## „ხელისუფლებას მედიკამენტებსა და ზოგიერთ სასურსათო პროდუქციაზე ზღვრული ფასების დაწესება შეუძლია“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ სოციალურ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მემარცხენე ალიანსის თავმჯდომარე **სოსო შატბერაშვილს**.

***– წამლებზე ფასები მრავალჯერ გაიზარდა. მოსალოდნელია ყველანაირი იმპორტირებული პროდუქციის გაძვირება. ამის თავიდან აცილება შესაძლებელია?***

– შესაძლებელია. მოსალოდნელი ფასების ზრდა გამოწვეულია ლარის გაუფასურებით. ჩვენმა პარტიამ გააანალიზა, როდის ხდებოდა ლარის კურსის ვარდნა. ყოველთვის ეს ემთხვეოდა არჩევნების შემდგომ პერიოდს. ასე იყო 2012, 2013, 2016 წლებში. ახლაც ჩაიარა თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა, ლარის კურსი ისევ დაეცა. არჩევნებში მმართველი პარტია დიდ ფულს ხარჯავს. ოქტომბრის ადგილობრივ არჩევნებზე იყო ამომრჩევლის მოსყიდვა. თუ გავთვლით, რომ ფული დაურიგდა მისული ამომრჩევლების მესამედს, ანუ 30%-ს, მივხვდებით, რომ ეს დიდი თანხაა. ხელისუფლებას უნდა მისი ამოღება.

ერთ-ერთი გზა ამისათვის ლარის გაუფასურებაა. ამ ოპერაციისთვის თავდაპირველად ლარის დიდი მასა შედის ბანკებში. მოგვიანებით, როცა დასჭირდებათ, ხდება მანიპულირება. 2016 წლის არჩევნების შემდეგ იყო ლარის გაუფასურება, შემდეგ – ამ პროცესის შეჩერება, მოგვიანებით – ისევ გაუფასურება. წესით, მომავალში, ლარის ვარდნა უნდა შეჩერდეს. საპრეზიდენტო არჩევნებამდე, ალბათ, აღარ დაეცემა ლარი.

***– მოსახლეობის მდგომარეობა უკვე დამძიმებულია.***

– რასაკვირველია. ასეთი მანიპულაციები, გაძვირება, დიდ დარტყმას აყენებს ხალხის დიდ უმრავლესობას. ჩემი ოჯახის მაგალითზე შემიძლია ვთქვა, რომ წამლებში სულ უფრო მეტი ფული გვეხარჯება. ესაა თვეში დაახლოებით 200 ლარი. მე ვახერხებ ამ წამლების ყიდვას, მაგრამ რა ქნას ადამიანმა, რომელსაც 180-ლარიანი შემოსავალი აქვს? წამალი იყიდოს, საჭმელი თუ კომუნალური გადასახადები გადაიხადოს? „პეესპეს“, „ავერსსა“ და სხვა სააფთიაქო ბიზნესმენებს ერთმანეთთან კარტელური გარიგებით აქვთ დადგენილი მძარცველური ფასები.

ამ სააფთიაქო განუკითხაობას ვერც ერთმა მთავრობამ ვერ მოუარა. ისეთი მდგომარეობა გვაქვს, რომ სიკვდილიანობამ გადააჭარბა შობადობას. გაერომ ადრევე შეგვიყვანა მომაკვდავი ერების სიაში, ახლა კი აღიარა, რომ უკუსვლა, დეპოპულაცია გვაქვს. ახალგაზრდები ოჯახებს ვერ ქმნიან, შვილებს ვერ აჩენენ. ლარის დასტაბილურების გარდა, ხელისუფლებას შეუძლია სხვა ზომებიც გაატაროს კრიზისულ ვითარებაში.

***– რა ზომები?***

– ძირითად საკვებ პროდუქტებსა და მედიკამენტებზე დააწესოს ზღვრული ფასები. ეს რომ გაბედოს, ხელისუფლება სოციალურად ორიენტირებულ პოლიტიკას უნდა ატარებდეს, ანუ მემარცხენე იყოს. ზვიად გამსახურდია ისე დაამხეს, ვერაფერი მოასწრო. მასზე ვერ ვისაუბრებ. დანარჩენებიდან არც ერთი არ ყოფილა მემარცხენე. სააკაშვილსა და ნაცმოძრაობას ჩვენზე მეტად არავინ აკრიტიკებს, მაგრამ ის უნდა ითქვას, რომ ნაციონალების დროს ლარი სტაბილური იყო.

***– მემარცხენეობა ახსენეთ და ცოტა ხნის წინ მარსელში მთელი ევროპის მემარცხენეები, უმეტესად, ზომიერები, შეიკრიბნენ. მათ გამოაცხადეს, რომ ევროკავშირის პოლიტიკა ანტისოციალურია.***



– ეს ლოზუნგი უსაფუძვლო არაა. ევროკავშირი არ არის კეთილდღეობის ოაზისი, როგორიც ჩვენ წარმოგვიდგენია. წელიწადში ორჯერ მაინც მიწევს ევროპაში ჩასვლა. მაღალ ხელფასებთან და უმუშევრობის კარგ კომპენსაციებთან ერთად, იქ დიდი სიძვირეა. ევროპელებს უზარმაზარი თანხა ეხარჯებათ ავტომობილების შენახვაზე. დიდი გადასახადებია დაწესებული პარკირებისათვის, გზების, ხიდებისა და გვირაბების გასავლელად. ძვირი ჯდება დაზღვევა, საწვავი. დასაქმებული საშუალო ევროპელი ვერ ახერხებს თანხების გადადებას და საცხოვრებლის შეძენას.

ევროპაში მდიდრდებიან ბინათმფლობელები, რომლებიც ბინებს აქირავებენ. დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა ბევრად უფრო მძლავრია. ევროკავშირიდან ამ სახელმწიფოს გამოსვლის მთავარი მიზეზი ისაა, რომ დიდი შემოსავლების პატრონ, საზღვაო ფლოტისა და სხვა განვითარებული დარგების მქონე დიდ ბრიტანეთს აღარ მოუნდა ევროკავშირის ღარიბი ქვეყნების შენახვა.

***– სოციალურ ორიენტაციას დავუბრუნდეთ. შესაძლებლად მიგაჩნიათ საქართველოს ხელისუფლებაში ამ მიმართულების ძალების მოსვლა?***

– შევარდნაძიდან მოყოლებული, ყველა რომ მემარჯვენეა, იმიტომ არის ჩვენი ხალხი მძიმე მდგომარეობაში. საქართველოს ხელისუფლებაში ზომიერი მემარცხენეები უნდა მოვიდნენ. მათ უნდა შეიმუშაონ სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტი. ზომიერ მემარცხენეებზე მაქვს საუბარი, თორემ, მემარცხენეები არიან ანარქისტებიცა და კომუნისტებიც. დარწმუნებული ვარ, რომ 2020 წელს ხალხი არჩევანს ზომიერ მემარცხენეებზე გააკეთებს.

---

## 24 ნოემბრამდე წვიმა, თოვლი და ზღვაზე შტორმია მოსალოდნელი

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 21 ნოემბერს დღის ბოლოდან 24 ნოემბრამდე საქართველოს ტერიტორიაზე, შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთიდან ცივი და ნოტიო ჰაერის მასების გავრცელების გამო, მოსალოდნელია ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელოვანი დაკლება.



სააგენტოს ინფორმაციით, ამ პერიოდში მოსალოდნელია წვიმა, მთაში თოვლი (ზოგან ძლიერი), დასავლეთის მიმართულების ძლიერი ქარი, მაღალმთიან ზონაში ქარბუქი და ზღვაზე 4 – 6 ბალიანი შტორმი.

სააგენტოს განცხადებით, მოსალოდნელმა ძლიერმა ნალექმა შესაძლებელია მეწყრულ-ღვარცოფული პროცესების ჩასახვა-გააქტიურება და მაღალმთიან ზონაში ზვავების ფორმირება გამოიწვიოს.

---

## რაც მეტად იყენებ „ფეისბუქს“, უფრო ცუდად ხარ

დეპრესია ამერიკელ თინეიჯერებში 2010 წლიდან 2016 წლამდე 60 პროცენტით გაიზარდა. ზრდა ფიქსირდება როგორც იმ მოზარდთა რაოდენობაში, ვისაც დეპრესიული ეპიზოდი ერთხელ მაინც ჰქონდა, ასევე – ეპიზოდების სიხშირეშიც. 10-დან 19 წლამდე ახალგაზრდებში დრამატულად გაიზარდა თვითმკვლელობის შემთხვევები. ყველაზე დიდი რისკის ჯგუფად თინეიჯერი გოგონები ითვლებიან. ასეთია შეერთებული შტატების ჯანდაცვის დეპარტამენტის და დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრის მონაცემები.




პრობლემა კომპლექსურია და სხვადასხვა ფაქტორის ერთობლიობით შეიძლება აიხსნას. ერთ-ერთი მიზეზი სოციალური ქსელებია, რომელმაც ბოლო რამდენიმე წელია მკვლევარების ყურადღება მიიპყრო. პრობლემა თითქმის უნივერსალურია და შესწავლილი ქვეყნების უმეტესობაში ფიქსირდება.

14 წლის ასაკში ოთხიდან ერთ ბრიტანელ გოგოს დეპრესია აღმოაჩნდა, ბიჭებში – ყოველ მეათეს. გამოკითხული გოგონების 24-მა პროცენტმა დაადასტურა, რომ თავს უბედურად და უმწეოდ გრძნობს, მარტოობას და საკუთარი თავის სიძულვილს განიცდის. ამას გამოკითხული მშობლების მხოლოდ 18 პროცენტი აცნობიერებს. მოზარდები ამბობენ, რომ სოციალური მედიის მხრიდან უზარმაზარი წნეხის ქვეშ არიან. სკოლაში გავრცელებულ ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ დევნას, დაცინვას, ჩაგვრას და ტერორს, რასაც ბულინგს ეძახიან, დაემატა სოციალურ ქსელებში გავრცელებული კიბერ-ბულინგი.

ამერიკელ მოზარდებში დეპრესიის ზრდას „უზარმაზარს“ და „უპრეცედენტოს“ უწოდებს მეცნიერი ჯინ ტვენჯი, ფსიქოლოგიის პროფესორი სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. 10 ოქტომბერს, ჟურნალ „თაიმთან“ საუბარში, ის ამბობს, რომ „თინეიჯერს, რომელიც მეტ დროს უთმობს ახალ მედიას, მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მეტი შანსი აქვს, ვიდრე მას, ვისი ყოველდღიური აქტივობები ეკრანს არ უკავშირდება“.

გაზაფხულზე, ჰარვარდის უნივერსიტეტის გამოცემაში „ჰარვარდ ბიზნეს რევიუ“ გამოქვეყნდა კვლევა, რომელმაც ზრდასრულებში „ფეისბუქზე“ დამოკიდებულება შეისწავლა.

როგორც ირკვევა, რიგითი მომხმარებელი საიტზე ყოველდღიურად საშუალოდ ერთ საათს ატარებს, მისი დილა კი უმეტესად სოციალური ქსელის აპლიკაციის გახსნით იწყება და ეს ხშირად საწოლიდან ადგომამდე ხდება.

5.208 ადამიანს ერთი წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ. ადამიანების რეალური სოციალური ურთიერთობებისგან განსხვავებით, რასაც ჯანმრთელობაზე კეთილი ზეგავლენა აქვს, „ფეისბუქზე“ ურთიერთობა უარყოფით გავლენას ახდენს მათ მენტალურ ჯანმრთელობაზე, ფიზიკურ სიჯანსაღეზე და ცხოვრებით კმაყოფილების განცდაზე.

კვლევამ აჩვენა, რომ რაც უფრო მეტ დროს ატარებდა ადამიანი „ფეისბუქზე“, მით უფრო უარესდებოდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ანალოგიურ პასუხს მიიღებდნენ სხვა სოციალურ ქსელებზე დაკვირვების შემთხვევაშიც.

---

## ბათუმში მშენებლებმა მე-11 საუკუნის უნიკალური ქვევრი განგებ დააზიანეს

ბათუმში, თამარის დასახლებაში, კანალიზაციის სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს, მიწის ქვედა ფენებში, მუშებმა ქვევრი აღმოაჩინეს. დასაქმებულებმა ექსპონატი ჯერ ხელით, შემდეგ ქვით და ბოლოს ტრაქტორის „დახმარებით“ დააზიანეს.



სპეციალისტების პირველადი დასკვნით, ქვევრი შუა საუკუნეების ეპოქას ასახავს და დაახლოებით XI-XIII საუკუნეებით თარიღდება.

– ქვევრი განვითარებული შუა საუკუნეების უნდა იყოს. ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ ძველი წელთაღრიცხვის, მე-8 საუკუნიდან დაწყებული, გაგრძელებული შუა საუკუნით. რაც შესაძლებელი იქნება გადავარჩენთ. ჩვენ რომ გვცოდნოდა, ჩვენი წარმომადგენელი მეთვალყურეობას გაუწევდა და ასეთი ბარბაროსობა არ მოხდებოდა, – განაცხადა არქეოლოგმა ამირან კახიძემ.

ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის განცხადებით, მომხდარზე მოკვლევა უკვე დაწყებულია.

---

## თურქეთში ქურდობისთვის საქართველოს სამი მოქალაქე დააკავეს




თურქეთში, ქალაქ თექირდაღში სავაჭრო ცენტრებში ქურდობისთვის საქართველოს 3 მოქალაქე დააკავეს. ამის შესახებ გამოცემა „მილიეტი“ წერს.

გამოცემის ინფორმაციით, დაკავებულები ზურგჩანთებში ალუმინის ფირფიტებს აწყობდნენ, რათა მაღაზიიდან გასვლისას სიგნალიზაციის სისტემას მათ ზურგჩანთებში მოპარული ნივთები არ აღმოეჩინა.

მოპარული ნივთების გარდა, პირადი ჩხრეკისას დაკავებულ საქართველოს მოქალაქეებს 2 გრამი მარიხუანაც აღმოაჩნდათ.

---



## კვებით უზრუნველყოფის მომსახურების პროვაიდერთა მოწვევა

BP Exploration (Caspian Sea) Ltd - საქართველო იწვევს შესაფერის კომპანიებს ინტერესის გამოსახატად BP-ის თბილისის ოფისის კვებით უზრუნველყოფის მომსახურების გაწევაში. ქვემოთ მოცემულია ფასების შეთავაზების ელემენტების ზოგადი მიმოხილვა:

- კვებით უზრუნველყოფა – ცხელი ლანჩი (200-250 პორცია დღეში) და შეფუთული ლანჩი (10-15 პორცია დღეში, საღამოობით)
- წყლის მოწოდების უზრუნველყოფა
- მესამე მხარეებისგან შესყიდვა, მაგ. დანა-ჩანგლის, თეფშების და სამზარეულო ტექნიკისა, ოფისის სასადილოსთვის
- სასმელის პუნქტებით უზრუნველყოფა დაახლოებით 250 თანამშრომელზე, ჩაის ჩამომსხმელი ქალბატონების მიერ მომსახურების გაწევის ჩათვლით
- BP-ის ოფისისთვის საკვები უნდა მომზადდეს ფასის წარმდგენის შენობაში და მოხდეს ტრანსპორტირება იზოლირებული სატრანსპორტო საშუალებით, ჰიგიენის წესების და შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის დაცვით

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა მოგვაწოდონ საკონტაქტო ინფორმაცია: კომპანიის დასახელება, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტის მისამართი და საკონტაქტო პირის სახელი და გვარი შემდეგ ელ-ფოსტაზე: lomam0@bp.com ან კომპანიის ოფისში მისამართზე: თბილისი, სულხან ცინცაძის 24, მაკა ლომაძეს, PSCM კატეგორიის სპეციალისტს.

წარდგენის ვადა: 2017 წლის 1 დეკემბერი.

# საქართველოში დაზღვეული მანქანების რაოდენობამ 18%-ით მოიმატა

საქართველოში დაზღვეული ავტომობილების რაოდენობა გაიზარდა. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაცემებით, 2017 წლის მესამე კვარტალში ქვეყანაში სულ დაზღვეულია 64.295 ავტომანქანა, რაც 9.852 ერთეულით, ანუ დაახლოებით 18%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.




2016 წლის მესამე კვარტალის მონაცემებით, ქვეყანაში სულ 54.443 ავტომობილი იყო დაზღვეული.

2017 წლის მესამე კვარტალში ავტოდაზღვევის პორტფელი 55.79 მლნ ლარს შეადგენს. მოზიდული პრემიით ალდაგი ლიდერობს – 38%-იანი წილით. მეორე პოზიციაზე არის ჯიპიაი – 21%, ხუთეულში შედიან თიბისი დაზღვევა – 17%, ირაო – 6% და ალფა – 5%.

მიუხედავად ზრდისა, პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ქვეყანაში ავტოპარკის მხოლოდ 5,2%-ია დაზღვეული. შედარებისთვის, 2016 წელს ამერიკაში ავტოპარკის 87,4% პროცენტი იყო დაზღვეული. ჩვენი მაჩვენებელი კი საკმაოდ დაბალია, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში საავტომობილო დაზღვევის სისტემა განვითარებული ჯერ კიდევ არ არის.

როგორც „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე გელა კვაშილავა „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, დაზღვეული ავტომანქანების რაოდენობა გაიზარდა არა იმიტომ, რომ ქვეყანაში დაზღვევის კულტურა განვითარდა, არამედ იმიტომ, რომ ხშირ შემთხვევაში დაზღვევა ავტომატურად ხდება, მათ შორის ჰიბრიდული ავტომანქანების შემთხვევაში.

– მოგეხსენებათ, ჩვენთან ავტომანქანების შეძენა ლიზინგითაც ხდება. მანქანების დიდი ნაწილი, რომელიც 2017 წლიდან შემოდის, არის ჰიბრიდული. სალიზინგო პირობებში ჩადებულია დაზღვევაც. ალბათ, დაზღვეული ავტომობილების რაოდენობის მცირედით ზრდის მიზეზი სწორედ ეს არის. ასევე, დაბალი წლოვანების ავტომანქანებიც როცა შემოდის ან იყიდება, როგორც მომხმარებლები, ისე დილერები ავტომანქანების დაზღვევას ცდილობენ. ძირითადად მაინც ავტომატური დაზღვევა ხდება.

რაც შეეხება ჰიბრიდულ ავტომობილებს, ჩემთვის როგორც ცნობილია, 6 თვის მონაცემებით, დაახლოებით 10.000-მდე ჰიბრიდულია შემოყვანილი, – აღნიშნავს კვაშილავა.

მისივე თქმით, სავალდებულო დაზღვევის შემოღება აუცილებელია როგორც საგზაო უსაფრთხოების, ასევე ფინანსური კუთხითაც.

– ზოგადად ავტომანქანის სავალდებულო დაზღვევა ძალიან ეფექტური სისტემაა იმ თვალსაზრისით, რომ საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების დროს, პრობლემების მოგვარება უფრო სწრაფად ხდება. ანუ მანქანის მესაკუთრე დროს და ენერგიას ნაკლებს ხარჯავს და ყველაფერს დაზღვევა უნაზღაურებს.

ეს სისტემა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში კარგად მუშაობს და საქართველოშიც სავალდებულო უნდა გახდეს იმის გათვალისწინებით, რომ საგზაო უსაფრთხოების კუთხით კანონმდებლობის დახვეწა ხდება. ამასთან, სავალდებულო დაზღვევის სისტემაში უსაფრთხოებასათან ერთად, გარკვეული ეკონომიური ბენეფიტიც არის ჩადებული, – აცხადებს კვაშილავა.

## ფინანსთა სამინისტრო დღგ-ს დაბრუნების ავტომატური სისტემის დანერგვას გეგმავს



ფინანსთა მინისტრი მამუკა ბახტაძე აპირებს, დღგ-ს დაბრუნების ავტომატური სისტემა დანერგოს. მისი განმარტებით, მეწარმე ელექტრონული განაცხადის შედეგად 5-7 სამუშაო დღეში უნდა ღებულობდეს დღგ-ს ზედმეტობას.

– ეს ნიშნავს დაახლოებით 500 მილიონი ლარის დამატებითი წვდომის მიცემას ჩვენი მეწარმეებისთვის, – აცხადებს მამუკა ბახტაძე.

ფინანსთა მინისტრის ახალ ინიციატივას ზურაბ ლალაზაშვილი დადებითად აფასებს. მისი თქმით, დღგ-ს დაბრუნების ავტომატური სისტემა ბიზნესს დროის დაზოგვის შესაძლებლობას მისცემს.

ლალაზაშვილი ამბობს, რომ დღეს ბიზნესს დაახლოებით 20-30 საათის დახარჯვა სჭირდება იმისთვის, რომ მისი ფული დაიბრუნოს და ამაში არა მხოლოდ დროს, არამედ ადამიანურ რესურსსაც ხარჯავს.

– გაცილებით მარტივი და დახვეწილი მექანიზმი იქნება, თუ ავტომატურ რეჟიმში მოხდება დღგ-ს დაბრუნება. ბიზნესს აღარ დასჭირდება დრო განცხადებებზე, ადგილზე მისვლაზე, გარკვევაზე და ა.შ.

თუ ზედმეტად აქვს გადახდილი ვინმეს გადასახადი და ეკუთვნის უკან დაბრუნება, მაშინ რაღა საჭიროა ვიღაცამ დამატებითი განცხადებები წეროს, განიხილოს, რეზოლუცია დაადოს და ა.შ.

რაც მეტ ნაღდ ფულს მიიღებს ბიზნესი, ნაკლებად იქნება დამოკიდებული სესხზე. რადგან თუ ბიზნესს არ აქვს ხელმისაწვდომობა ფინანსებზე, იღებს სესხს, ეს კი უარყოფით გავლენას ახდენს ვალუტაზე და ა.შ., – აცხადებს ლალაზაშვილი.

ავანსის დღგ-თი დაბეგვრას ლალაზაშვილი ასე აფასებს:

– ეს ბიზნესისთვის ყველაზე დიდი თავის ტკივილია.

მისი თქმით, ავანსის დღგ-თი დაბეგვრის ადმინისტრირება ძალიან გართულებულია როგორც ბიზნესისთვის, ასევე შემოსავლების სამსახურისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე აუდიტორი ფიქრობს, რომ რეფორმის ეფექტი მცირე იქნება.

ავანსის დღგ-თი დაბეგვრის რეგულაცია მიმდინარე წლიდან ამოქმედდა. ბიზნესის ნაწილი ამას უარყოფითად შეხვდა.

## საქართველოდან სამკურნალო საშუალებების ექსპორტი გაიზარდა



იანვარ-ოქტომბერში საქართველოდან სამკურნალო საშუალებების ექსპორტი გაიზარდა. ამის შესახებ, ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.

კერძოდ, მიმდინარე წლის 10 თვეში აღნიშნული სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 116.9 მილიონი დოლარი შეადგინა. მაშინ როცა გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მონაცემი 85.5 მილიონი დოლარი იყო.

2017 წლის საანგარიშო პერიოდში სამკურნალო საშუალებები უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფების ხუთეულში იყო. მისმა წილმა მთელ ექსპორტში 5.3% შეადგინა, 2016 წლის იანვარ-ოქტომბერში კი სამკურნალო საშუალებებზე მთელი ექსპორტის 5% მოდიოდა.

## ავტოგაზი 10 თეთრით გაძვირდა




ბოლო 2-3 დღის განმავლობაში ავტოგაზი 10 თეთრით გაძვირდა.

კერძოდ, 17 ნოემბრის შემდეგ ავტოგაზის ფასი შეიცვალა „ვისოლისა“ და „ნეოგაზის სადგურებზე.

დღეის მდგომარეობით, აღნიშნულ ავტოსადგურებზე ავტო გაზი 1.55 ლარი ღირს, მაშინ როცა რამდენიმე დღის წინ 1.45 ღირდა.

როგორც „ნეოგაზში“ აცხადებენ, ავტოგაზის ღირებულებამ ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ზოგადად ბაზარზე, სხვა სადგურებზეც მოიმატა.

ბოლო 2-3 დღის განმავლობაში ზოგიერთ ბრენდირებულ სადგურზე საწვავიც გაძვირდა. ფასმა სხვადასხვა ტიპის საწვავზე 1-დან 5 თეთრამდე მოიმატა.

## სამაცივრე მეურნეობებში შენახული პროდუქციის 70% ქათმის ხორცზე მოდის



საქსტატის ცნობით, ქათმის ხორცი იკავებს სამაცივრე მეურნეობებში განთავსებული პროდუქციის (68 ათასი ტონა) 70.1%-ს.

III კვარტალში საქართველოში 43 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც შიდა ქართლში (37,2%) და თბილისშია (23,3%) განთავსებული.

მაცივრებში შენახული პროდუქციის 9,3% პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები იყო (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით), 6,3% – თევზეული, ხოლო დანარჩენ პროდუქციას უმნიშვნელო წილი ჰქონდა.

სამაცივრე მეურნეობების მიერ შემდგომი რეალიზაციის მიზნით 2017 წლის III კვარტალის განმავლობაში შესყიდულია 2,6 ათასი ტონა პროდუქცია. მომსახურების საფასურმა კი 2,8 მლნ. ლარი შეადგინა.

ამასთან, III კვარტალის განმავლობაში სამაცივრე მეურნეობების მიერ გაყიდულია 24,3 მლნ. ლარის ღირებულების (5.6 ათასი ტონა) პროდუქცია, საიდანაც ღირებულებით გამოსახულებაში შედარებით დიდი ნაწილი (60,7%) იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების.

ამასთან, სამაცივრეების მიერ გაყიდული ადგილობრივი (საკუთარი) პროდუქციის 99,6% მოდიოდა ქათმის ხორცზე. იმპორტირებული პროდუქციის მნიშვნელოვან მოცულობას პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით) (50,6%), ქათმის ხორცი (22,5%) და თევზეული (19,7%) წარმოადგენდა.

სამაცივრეების მიერ გაყიდული პროდუქციიდან უცხოურ ბაზარზე მხოლოდ ხილი და ბოსტნეული იქნა რეალიზებული.

## ლაშა პაპაშვილი: „ეროვნულმა ბანკმა ქართველ ერს შოკური თერაპიები არ უნდა უტაროს“



– ეროვნული ბანკის მოვალეობაა, რომ ქართველ ერს შოკური თერაპიები არ უტაროს, – ამის შესახებ „კომერსანტთან“ ბიზნესმენმა ლაშა პაპაშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, „სწორედ ეროვნული ბანკის კომპეტენცია და პირდაპირი მოვალეობაა ეროვნული ვალუტის სწორად მართვა“.

პაპაშვილის განცხადებით, ეროვნული ბანკი ლარის კურსის მართვაში პირდაპირ უნდა ჩაერიოს იმდენად, რამდენადაც, როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, ფუნდამენტური საფუძვლები იმისა, რომ ლარი ასე გაუფასურდეს, არ არსებობს.

– რადგან ფუნდამენტური საფუძვლები გაუარესებული არ გვაქვს და ეს დროებითია, სპეკულაციურია თუ იმპორტიორების ან ექსპორტიორების გამოა, ეროვნული ბანკი უნდა ჩაერიოს, – აცხადებს პაპაშვილი.

ერთი თვის განმავლობაში ლარის კურსი თითქმის 10%-ით გაუფასურდა.

## თბილისის მერია საკრებულოდან დედაქალაქის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტს უკან გამოითხოვს



თბილისის მერია საკრებულოდან 2018 წლის ბიუჯეტის პროექტს უკან გამოითხოვს და ახალს წარადგენს.

როგორც თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, ბიუჯეტის ახალი პროექტი, რომელიც საკრებულოს წარედგინება, აგებული იქნება წინასაარჩევნო კამპანიის დროს დასახელებული პროექტების განხორციელებაზე.

– ჩვენი საარჩევნო პროგრამა შედგებოდა 7 ძირითადი პუნქტისგან და მასში მთლიანად ასახულია ყველა ის პრობლემა, რომელიც აწუხებს თბილისს. ბიუჯეტში, რომელიც დღეს არის წარდგენილი თბილისის საკრებულოში, არანაირი უფლებამოსილება არ გვქონდა ცვლილებების შეტანის, რადგან საკრებულოს მხრიდან მთავრობა არ იყო წარდგენილი და ვერ შევიტანდით მასში ჩვენ ხედვებსა და გეგმებს.

მინდა ვთხოვო ვიცე-მერს, რომ დაიწყოთ მუშაობა ბიუჯეტთან დაკავშირებით – გამოვითხოვოთ წარდგენილი ბიუჯეტი და კანონით გათვალისწინებულ ვადებში მოხდეს მისი გადაგზავნა თბილისის საკრებულოში. ბიუჯეტში აუცილებლად უნდა იყოს ასახული და გაწერილი ის კონკრეტული პროექტები, რომელიც ჩვენ გვაქვს დაგეგმილი 2018 წელს, – განაცხადა კახა კალაძემ.

## სიგარ-ბარის გახსნისთვის საჭირო ლიცენზიის აღება 15 ათასი ლარი ეღირება

– სიგარ-ბარის გახსნისთვის საჭირო ლიცენზიის აღება 15 ათასი ლარი ეღირება, – ამის შესახებ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ განაცხადა.

კითხვაზე, უკვე გამოიხატა თუ არა დაინტერესება ბიზნესის მხრიდან სიგარ-ბარის გახსნასთან დაკავშირებით, ზოიძემ აღნიშნა, რომ „ვიღაცებმა უკვე იკითხეს“.



– თბილისში ორი სიგარ-ბარი უკვე არსებობს. დღეს არ არის საჭიროება, მაგრამ მეტი გაიხსნება, როგორც კი საჭიროება იქნება. პირველი მაისიდან აიკრძალება შენობებში სიგარეტის მოწევა, სიგარ-ბარებთან დაკავშირებით კი მთელი იდეა ის არის, რომ მისი გახსნის მსურველებს ლიცენზიის აღება მოუწევთ. 15 ათასი ლარია გადასახდელი და ეს ნორმალური ფასია.

დღევანდელ პირობებში სიგარ-ბარების ბრუნვა არის 400-500 ათას ლარზე მეტი, ასე რომ, 15 ათასის გადახდა არაფერია მათთვის. რაც შეეხება დაინტერესებას, ზუსტად არ ვიცი, ვიღაცებმა იკითხეს. დაინტერესება აუცილებლად იქნება, ვინაიდან ხალხი რჩება, ვისაც სურვილი აქვს, სწორედ სასმელთან ერთად დახურულ შენობაში მოწიოს.

მე მოვუწოდებ მოქალაქეებს, საერთოდ არ მოწიონ და არ შევიდნენ სიგარ-ბარებში, რადგან მავნებელია ჯანმრთელობისთვის, მაგრამ ბიზნესის თვალსაზრისით, ალბათ, უნდა ვკითხოთ რესტორნების მეპატრონეებს, – განაცხადა ზოიძემ.

# ბათუმში 24 წლის ქალის ცხედარი იპოვეს



ბათუმში, ბარცხანის დასახლებაში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში ახალგაზრდა ქალის ცხედარი იპოვეს.

გარდაცვლილი 24 წლისაა და მისი ცხედარი გუშინ დილით აღმოაჩინეს. მაშველები და სასწრაფო დახმარების ბრიგადა ადგილზე მეზობლებმა გამოიძახეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით აღიძრა.

# გრიგოლეთში ხანძარს 80 წლამდე მამაკაცი ემსხვერპლა



სოფელ გრიგოლეთში ხანძარს 80 წლამდე მამაკაცი ემსხვერპლა. მეზობლების ინფორმაციით, გარდაცვლილი მარტოხელა იყო.

ადგილობრივები ვარაუდობენ, რომ ცეცხლი ღუმლის დანთებისას გაჩნდა.

ადგილზე მობილიზებული იყო ფოთისა და ლანჩხუთის სახანძრო-სამაშველო სამსახურის 4 ბრიგადა.

# მარტვილში საკრებულოს მაღალჩინოსანი საკრებულოს სხდომის დაწყების წინ დააკავეს



მარტვილის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი გია ჩიხლაძე დააკავეს. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ინფორმაციით, გამგეობაში ფინანსური პოლიცია მას შემდეგ შევიდა, რაც სხდომის დაწყების წინ, დაკავებულის ძმამ მოსახლეობასთან ერთად აქცია გამართა, სადაც არჩევნების მეორე ტურის შედეგები გააპროტესტა და ადგილობრივი ხელისუფლება მის გაყალბებაში დაადანაშაულა.

„ნიუპოსტის“ ინფორმაციით, ჩიხლაძესთან ერთად დაკავებულია კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელიც.

დაკავებულთა ოჯახის წევრები პოლიტიკურ მოტივზე საუბრობენ.

# სარფში არადეკლარირებული ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები აღმოაჩინეს



სარფში არადეკლარირებული ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები აღმოაჩინეს, – ამის შეახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, საბაჟო გამშვებ პუნქტში ,,სარფი“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრების მიერ არადეკლარირებული ძვირფასი ლითონების ქვეყანაში შემოტანის ფაქტი აღიკვეთა.

მათივე ცნობით, საბერძნეთის მოქალაქეს ი.ლ-ს, ეჭვის საფუძველზე, კუთვნილი ბარგის დათვალიერების შედეგად არადეკლარირებული ოქროსა (97.53 გრამი) და ვერცხლის (52.33 გრამი) ნაკეთობები აღმოაჩნდა. საქონლის საბაჟო ღირებულებამ 7,957.68 ლარი შეადგინა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად კანონდამრღვევ მოქალაქეს, სანქციის სახით ფულადი ჯარიმა – 7,957.68 ლარის ოდენობით შეეფარდა.

# დათა ახალაიამ სანდრო გირგვლიანის საქმეზე შესაძლოა სასამართლოს ჩვენება მისცეს



სანდრო გირგვლიანის საქმეზე კუდ-ის ყოფილმა უფროსმა დათა ახალაიამ შესაძლოა სასამართლოს ჩვენება მისცეს. ახალაიას დაკითხვას სასამართლოზე ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი დავით კაკოიშვილი გეგმავს.

როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ ხდება ცნობილი, სასამართლოში დისტანციური წესით დაკითხვაზე დაცვის მხარეს დათა ახალაიასგან თანხმობა უკვე მიღებული აქვს. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი სკაიპით დაიკითხება, ვინაიდან ის საქართველოში არ იმყოფება.

გირგვლიანის საქმეზე მიხეილ სააკაშვილს ბრალი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით აქვს წაყენებული. გამოძიების ინფორმაციით, დანაშაულის დაფარვის მიზნით მიხეილ სააკაშვილი კუდ-ის უფროსს დაჰპირდა, რომ გირგვლიანის მკვლელობისთვის მსჯავრდებულებს შეიწყალებდა, რაც მან 2008 წელს გააკეთა და საპატიმრო სასჯელები გაუნახევრა მსჯავრდებულებს – გერონტი ალანიას, ალექსანდრე ლაჭავას, მიხეილ ბიბილურიძესა და ავთანდილ აფციაურს.

სანდრო გირგვლიანის საქმეზე მიხეილ სააკაშვილის ბრალდების განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში 22 ნოემბერს განახლდება.

# ადვოკატი: „აფგან მუხთარლის დაკითხვა ქართველ პროკურორებს არ მოუთხოვიათ“



– აფგან მუხთარლის სისხლის სამართლის საქმეში მასთან ქართველი პროკურორების შეშვებასთან დაკავშირებით ქართული მხარის მოთხოვნა არ ფიგურირებს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თბილისში გაუჩინარებული და აზერბაიჯანში დაკავებული ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის ადვოკატმა, ელჩინ ნამაზოვმა განუცხადა.

– ძიება დასრულებულია, საქმე სასამართლოშია გადაცემული. სხდომის თარიღი ჯერ დანიშნული არ არის. რაც შეეხება ქართველი პროკურორებისთვის აფგან მუხთარლის დაკითხვის შესაძლებლობის მიცემის შესახებ მოთხოვნას, სისხლის სამართლის საქმის მასალებში ასეთი მოთხოვნა ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ. მე ვფიქრობ, რომ რეალურად, საქართველოს მთავრობას ასეთი მოთხოვნით აზერბაიჯანისთვის არ მოუმართავს, – განაცხადა ელჩინ ნამაზოვმა.

რამდენიმე თვის წინ, საქართველოს მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა აფგან მუხთარლის საქმეზე შუალედური ანგარიში წარმოადგინა, სადაც განაცხადა, რომ გამოძიების მიერ აზერბაიჯანის შესაბამის ორგანოებს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის მიზნით გაეგზავნათ შუამდგომლობა მათ წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის მასალების გამოთხოვისა და აფგან მუხთარლის დეტალური დაკითხვის თაობაზე, ასევე ეთხოვათ დაკითხვის დროს ქართული მხარის დასწრების შესახებ.

# ეკა ნაქევხრიშვილის მაზლი, რომელსაც სოფელი მის მკვლელობას აბრალებს, ფსიქიატრიულიდან გაწერეს

## შილდის ტრაგედიის ახალი დეტალები



ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში საეჭვო გარემოებაში გარდაცვლილი ახალგაზრდა ქალის მაზლმა, რომელმაც ნათესავის დაკრძალვის დღეს თვითმკვლელობა სცადა, ფსიქიატრიული კლინიკა დატოვა.

ფაქტი „ნიუპოსტს“ ეკა ნაქევხრიშვილის ქმარმა გია გურასპაშვილმა დაუდასტურა.

მისი თქმით, ძმა საკუთარ სახლში იმყოფება, თუმცა მასთან კომუნიკაცია არ ჰქონია.

– გამოწერეს, არ მინახავს და არც მაინტერესებს, ალბათ, საკუთარ სახლშია, – უთხრა „ნიუპოსტს“ გურასპაშვილმა, რომელიც ძმას მკვლელობასა და ძალადობაში ადანაშაულებდა.

ახლა კი ჩვენთან საუბრისას გურასპაშვილი ამბობს, რომ სანამ ექსპერტიზის პასუხები არ იქნება, ძმას მძიმე დანაშაულში ხელს ვერ დაადებს.

– ჩემი განცხადება იყო, მაგრამ სანამ ექსპერტიზის პასუხები არ იქნება, ხელს ვერავის დავადებ, – აღნიშნა გურასპაშვილმა.

24 წლის ეკა ნაქევხრიშვილის საქმის გამოძიება ამ დრომდე „სისხლის სამართლის კოდექსის“ 115-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა) მიმდინარეობს და საქმის გადაკვალიფიცირება არ მომხდარა.

გარდაცვლილი ქალის ოჯახი მედიასთან აღარ კონტაქტობს. სოფელში კი ეჭვობენ, რომ ქალი ჯერ მოკლეს, შემდეგ კი თოკზე დაკიდეს.

საქმით მესამე სექტორიც არის დაინტერესებული. „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ გარდაცვლილის 3 წლის ბავშვის ოჯახისგან განრიდებას ითხოვს, რომელიც ამ დრომდე ბებიასა და მამასთან რჩება.

ორი შვილის დედა, 24 წლის ეკა ნაქევხრიშვილი საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი დედამთილმა იპოვა. გარდაცვლილის მეუღლე სახლში არ იმყოფებოდა. რძალთან უსიამოვნების გამო, შინ არც დედამთილი იყო.

ეკა ნაქევხრიშვილის დაკრძალვის დღეს, თვითმკვლელობა სცადა მისმა მაზლმა. ამ საკითხთან დაკავშირებით, გამოძიება ჯერჯერობით დუმს.

# მუსტაფა ემრე ჩაბუქი: „გიულენს საერთოდ არ ვიცნობ“



– გიულენს საერთოდ არ ვიცნობ, არც პირადად შემხვედრია, მის წიგნებში ტერორიზმზე არასდროს ამომიკითხავს არც ერთი წინადადება არც საქართველოში და არც თურქეთში, არც ლეგალური და არც არალეგალური შეხება ტერორისტებთან არ მაქვს.

ამის შესახებ დემირელის კოლეჯის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მუსტაფა ემრე ჩაბუქმა სასამართლოზე განაცხადა. ჩაბუქი თურქული მხარის მოთხოვნითაა დაკავებული. მას და მის ოჯახს დევნილთა სამინისტრომ ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარი უთხრა.

სასამართლო პროცესზე სწორედ ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე დევნილთა სამინისტროს გადაწყვეტილებაზე მიმდინარეობდა მსჯელობა, რომელიც სასამართლოში ჩაბუქის ადვოკატებმა გაასაჩივრეს.

– 15 წელია საქართველოში ვარ. მე და ჩემი მეუღლე ვმუშაობთ საქართველოში. მასწავლებლის გარდა, კოლეჯში ხელმძღვანელ თანამდებობასაც ვიკავებ. აქ მუშაობის მანძილზე 300-მდე თანამშრომელთან ერთად ვმუშაობდი, 1.000-მდე მოსწავლე მყავდა, რომელთაც დაამთავრეს კოლეჯი. ძალადობასთან არანაირი კავშირი არ მაქვს. არასდროს მქონია არავისთან ჩხუბი. მე ისეთი ადამიანი ვარ, რომ ძალადობა ჩემგან, ჩემი ბუნებისგან ძალიან შორსაა, თურქეთში მე მაბრალებენ, რომ თითქოს კავშირში ვარ ტერორისტებთან. ამით შეურაცხყოფა მომაყენეს. არც საქართველოში და არც თურქეთში არც ლეგალური და არც არალეგალური შეხება ტერორისტებთან არ მაქვს. მე არ ჩამიდენია დანაშაული, მაგრამ გაჩვენებენ რომ ჩავიდინე, – განაცხადა მუსტაფა ემრე ჩაბუქმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ ფეთჰულა გიულენთან არავითარი შეხება არ ჰქონია.

– გიულენს საერთოდ არ ვიცნობ. არც პირადად შემხვედრია. წიგნებიდან ვიცი მის შესახებ. მის წიგნებში არასდროს არ ამომიკითხავს ერთი წინადადება მაინც ტერორიზმზე. დემირელის კოლეჯის პატრონი, მეწილე და მფლობელი ის არ არის, – აღნიშნა ჩაბუქმა.

დემირელის კოლეჯის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მის მიერ საქართველოში განხორციელებულ ქმედებებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ არაერთი მაღალი თანამდებობის პირისგან მიუღია მადლობა, იმ ღვაწლისთვის, რაც მას საქართველოში აქვს გაწეული.

– ამდენ რამეს რაც მე საქართველოში გავაკეთე, არც ერთი ტერორისტი არ გააკეთებდა, არა თუ სხვა ქვეყნისთვის, არამედ საკუთარი სამშობლოსთვის, – აღნიშნა მუსტაფა ემრე ჩაბუქმა.

# „ტაბულა მედიას“ მიმართ მუქარაში ბრალდებულს პატიმრობა შეეფარდა



თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის შუამდგომლობა და „ტაბულა მედიას“ თანამშრომლების მიმართ მუქარაში ბრალდებულ გ.მ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავარი პროკურატურის პრესსამსახურიდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ 2017 წლის 17 ნოემბერს დაახლოებით 13:15 საათზე, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი გ.მ. მივიდა თბილისში, სამოქალაქო განათლების ფონდ „ტაბულა მედიას“ ოფისში, სადაც „ტაბულა მედიას“ თანამშრომლებს – ხ.ღ.-ს, თ.ნ.-ს, ა.ა.-ს, ა.გ.-ს და შ.ტ.-ს, სიცოცხლის მოსპობითა და ჯანმრთელობის დაზიანებით დაემუქრა.

– აღნიშნულ პირებს მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში გაუჩნდათ. სამართალდამცველებმა გ.მ. იმავე დღეს ქ.თბილისში დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151 მუხლის პირველი ნაწილით (სიცოცხლის მოსპობის და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში) წარედგინა.

სასამართლომ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენებას საფუძვლად დაუდო ახალი დანაშაულის ჩადენისა და მიმალვის საფრთხეების არსებობა.

სისხლის სამართლის საქმეზე გრძელდება გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 151 მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

# ქუთაისში სუპერმარკეტი დააყაჩაღეს



ქუთაისში სულხან-საბას დასახლებაში სუპერმარკეტი „დეილი“ დააყაჩაღეს. წაღებულია 5.000 ლარამდე თანხა.

სუპერმარკეტის თანამშრომლების თქმით, მარკეტში 4 ნიღბიანი იყო შესული.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

# მაჩერევიჩი: „ჩრდილოეთ კორეა და რუსეთი ერთმანეთთან არიან დაკავშირებული!“



პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა მაჩერევიჩმა განაცხადა, რომ რუსეთი და ჩრდილოეთ კორეა ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. მოსკოვი ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს მხოლოდ თვალის ახვევის მიზნით შეუერთდა. სინამდვილეში მოსკოვი და ფხენიანი ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ.

– სხვაგვარად ჩრდილოეთ კორეა ასე ვერ გათავხედდებოდა, – თქვა მაჩერევიჩმა.

პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა მოუწოდა მსოფლიოს, რომ ზეწოლა როგორც ჩრდილოეთ კორეაზე, ასევე რუსეთზეც გააძლიერონ.

– სხვაგვარად პრობლემა ვერ მოგვარდება, – ამბობს მაჩერევიჩი.

# გერმანია: მმართველი კოალიციის შექმნა ჩაიშალა



გერმანიაში ახალი მმართველი კოალიცია ვერ შეიქმნა. თავისუფალმა დემოკრატებმა განაცხადეს, რომ ანგელა მერკელთან ერთად ქვეყნის მოდერნიზება შეუძლებელია. ამის გარეშე კი მოლაპარაკებებს აზრი არა აქვს.

თავისუფალი დემოკრატების უკან გერმანული ბიზნესის ის დაჯგუფება დგას, რომელიც რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების შესუსტებას ან სულაც გაუქმებას მოითხოვს. ანგელა მერკელი ამისი კატეგორიული წინააღმდეგია. თავისუფალმა დემოკრატებმაც მოლაპარაკებები ჩიხში შეიყვანეს.

– ვწუხვარ, რომ მოლაპარაკებები ჩაიშალა, – განაცხადა ანგელა მერკელმა.

კანცლერმა აღნიშნა, რომ შექმნილი მდგომარეობის შესახებ პრეზიდენტ შტაინმაიერს მოახსენებს. საბოლოო გადაწყვეტილებასაც ამის შემდეგ მიიღებენ.

# ანტალიაში ერთმანეთს თურქეთ-რუსეთ-ირანის საგარეო საქმეთა მინისტრები შეხვდნენ



თურქეთის საკურორტო ქალაქ ანტალიაში ერთმანეთს რუსეთის, თურქეთისა და ირანის საგარეო საქმეთა მინისტრები შეხვდნენ.

მოლაპარაკებების ძირითადი თემა სირიაში შექმნილი მდგომარეობა იყო.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი მხარს უჭერს კონფლიქტის ერთ მხარეს, რუსეთი და ირანი – მეორეს, ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ. საუბარია სირიაში ე.წ. „უსაფრთხოების ზონების“ შექმნაზე.

# ლეონიდ კუჩმა: „რუსეთ-უკრაინის ომი გაგრძელდება!“



უკრაინის ექსპრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ განაცხადა, რომ დონბასში მიმდინარეობს არა დონბასისა და კიევის, არამედ რუსეთ-უკრაინის ომი. ყოფილმა პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ გაეროს სამშვიდობოების განლაგების რუსული სქემა უკრაინისთვის მიუღებელია.

– პუტინს კონფლიქტის გაყინვა სურს, უკრაინას კი მოგვარება! განსხვავებაც ამაშია, – თქვა კუჩმამ.

ყოფილი პრეზიდენტის აზრით, დონბასში მშვიდობის აღდგენა ძირითადად პუტინზეა დამოკიდებული. რაკი პუტინის პოზიცია დესტრუქციულია, ომი მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში არ შეწყდება.

– პუტინს დონბასში ახალი „დნესტრისპირეთის“ შექმნა სურს. ეს კი შეუძლებელია. უკრაინის მიმართ მსგავსი სქემა არ იმუშავებს. რუსეთ-უკრაინის ომიც გაგრძელდება, – ამბობს კუჩმა.

# ჩილეს საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტური იქნება



ჩილეში, საპრეზიდენტო არჩევნებზე ბიულეტენების 90,46%-ის დათვლის თანახმად, მეორე ტურში ყოფილი პრეზიდენტი სებასტიან პინიერა და სენატორი ალეხანდრო გილიერი გადიან.

ვერც ერთი კანდიდატი პირველ ტურში გამარჯვებისთვის საჭირო 50%-ს ვერ აგროვებს.

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური 17 დეკემბერს გაიმართება.

საარჩევნო ადმინისტრაციის მონაცემებით, მემარჯვენეების კანდიდატმა სებასტიან პინიერამ არჩევნებში მონაწილეთა ხმების 36,63% მიიღო, მემარცხენე-ცენტრისტების კანდიდატმა ალეხანდრო გილიერმა კი – 22,66%.

მესამე ადგილზე მემარცხენე კოალიცია „ფართო ფრონტის“ კანდიდატი ბეატრის სანჩეს მუნიოსი გადის (20,34%).

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ობამას ნაფიც მსაჯულთა ჟიურიში მიღებაზე უარი უთხრეს



აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ბარაკ ობამა ჩიკაგოს სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა შორის არ იქნება. ამ ინფორმაციას სი-ენ-ენ-ი ავრცელებს. გასული თვის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ ობამა ჩიკაგოს ერთ-ერთ სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა შესარჩევ მოსმენაზე იქნა გამოძახებული, სადაც ის ადრე ცხოვრობდა.ნოემბრის დასაწყისში სახელმწიფოს ყოფილი ხელმძღვანელი სასამართლოს შენობაში მრავალრიცხოვანი დაცვის თანხლებით მივიდა. მისმა გამოცხადებამ დამსწრე საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია. ბევრი მასთან ფოტოსურათს იღებდა და ავტოგრაფს სთხოვდა.

თუმცა მალე ოლქის უფროსმა მოსამართლემ ტიმოთი ევანსმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ ობამა განთავისუფლებულია ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებისგან, თუმცა ამის მიზეზი არ დაუსახელებია.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**ყოფილი „თბილკონდიტერის“ შრომითი კოლექტივის (ქ.თბილისი, ხოშარაულის 27. საკადასტრო კოდი 01130500411О) 316 თანამესაკუთრეებისათვის ჩატარდება განმეორებითი საერთო კრება 25 ნოემბერს, 11:30 საათზე. დასწრება სავალდებულოა.**

**მისამართი: წერეთლის 116, სასტუმრო „დიდუბე პლაზა“, IV სართული.**

**დღის წესრიგი:**

**1. აუდიტორიული ანგარიშის გაცნობა თანამესაკუთრეებისათვის. დაჯგუფების ხელმძღვანელებისათვის აუდიტორიული ანგარიშის გადაცემა;**

**2. სხვა ორგანიზაციული საკითხები.**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

### ქირავდება

● ქირავდება საკუთარი სახლის პირველი სართული, სამი ოთახი, სამზარეულო, აბაზანა, ინტერნეტი – დიღომში, დავით აღმაშენებლის ძეგლთან ახლოს, თამარ მეფის ქუჩა 3. ფასი 550 ლარი. ტელ: 592-599-777.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ფაჩულია და შენგელია იგებენ, დიქსონი ნაკრებში ჯანზე მოდის



ზაზა ფაჩულიამ და გოლდენ სტეიტ უორიორზმა ზედიზედ მეორე საგარეო შეხვედრა მოიგეს და დასავლეთ კონფერენციის ლიდერ ჰიუსტონ როკეტსს დაეწივნენ.

ოკლენდელებმა ნიუ იორკში აღმოსავლეთის ერთ-ერთ აუტსაიდერ ბრუკლინ ნეთსთან იმარჯვეს. მიმდინარე სეზონში მეორე შეხვედრა გამოტოვა კევინ დურანტმა – მისი ადგილი სასტარტო შემადგენლობაში ახალწვეულმა ომრი კასპიმ დაიკავა.

გოლდენ სტეიტმა პირველი ტაიმი 22 ქულით მოიგო, მესამეში სხვაობა კიდევ უფრო გაზარდეს და შემდეგ დაწყნარდნენ. შედეგად ნიუიორკელებმა სხვაობის შემცირებაღა შეძლეს.

ქართველი ცენტრი ტრადიციისამებრ სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე საერო ჯამში 13 წუთი გაატარა. ამ დროის მანძილზე ჩვენებურმა 3 ქულა, 4 პასი, 2 მოხსნა და ერთი ჩაჭრა მოაგროვა. ზაზამ 3-დან ერთი 2-ქულიანი და ერთიც ჯარიმა ჩააგდო.

გოლდენ სტეიტი მომდევნო მატჩს კვლავ სტუმრად, ოკლაჰომა თანდერის წინააღმდეგ გამართავს.

თორნიკე შენგელიას ლიდერობით ბასკონიამ ესპანეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ქართველმა ლეგიონერმა კაპიტნის სამკლაურით ულიდერა ვიტორიიელებს სან პაბლოში, სადაც ბურგოსი 100:76 გაანადგურა.

შენგელია სასტარტო ხუთეულში იყო და 25 წუთში 18 ქულა, 8 მოხსნა (3 შეტევაში), 3 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. თორნიკემ 8-დან 7 ორქულიანი და 4-ვე საჯარიმო ჩააგდო, 2 სამქულიანი ააცილა. ქართველი ფორვარდის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 27 ერთეული შეადგინა და თუკი ამ შედეგს ვერავინ ვერ გააუმჯობესებს, არსებობს შანსი, რომ ტურის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდეს.

ბასკონიამ 5 მოგება და 4 მარცხი მოაგროვა და სატურნირო ცხრილში მე-7 ადგილზე გადაინაცვლა, მომდევნო მატჩს კი შინ, ობრადოიროსთან გამართავს.

გიორგი შერმადინი წინა სეზონში ანდორაში თამაშობდა და გუნდის უპირობო ლიდერი იყო. ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში კი ანდორაში უნიკახას მაისურით ჩავიდა და ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ითამაშა. ქართველი ცენტრი ცუდად არ გარჯილა. ის მალაგელთაგან საუკეთესო იყო, თუმცა მისი გუნდი მაინც დამარცხდა – 60:66.

გიორგი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 22 წუთში 8 ქულა, 8 მოხსნა (4 შეტევაში), 2 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. გიორგიმ 5-დან 2 ორქულიანი და 4-ვე საჯარიმო ჩააგდო.

უნიკახა 4 მოგებითა და 5 მარცხით მე-9 ადგილამდე დაქვეითდა, შემდეგი შეხვედრა კი შინ, ბადალონას ხუვენტუტთან ელის.

მანუჩარ მარკოიშვილის რეჯიო ემილიამ იტალიური სერია ა 6 წაგებით დაიწყო, თუმცა ბოლო 2 მატჩში შედეგიანად თამაშობს და ჯერ დუდა სანაძის პისტოიას მოუგო, შემდეგ კი კრემონასთან მატჩშიც იმარჯვა – 71:68.

ემილიელელთა გამარჯვებაში ქართველ უკანახაზელს თავისი წილი მიუძღვის. მარკოიშვილმა სასტარტო

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# წინა საარჩევნო ციებ-ცხელება გრძელდება

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატმა შიო ხეცურიანმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, რომელსაც მის გარდა, საქართველოს ეროვნული ნაკრების კალათბურთელი გიორგი ცინცაძე ესწრებოდა.

ცინცაძე პარალელურად „საქართველოს კალათბურთის მოთამაშეთა გაერთიანების“ თავმჯდომარეც გახლავთ, რომელიც საქართველოს სუპერლიგასა და ა ლიგაში მოასპარეზე 64 კალათბურთელს აერთიანებს. ეს ორგანიზაცია ივნისში ჩამოყალიბდა და უკვე ივლისში საქართველოს კალათბურთის ფედერაციას თხოვნით მიმართა, რათა წევრად დაერეგისტრირებინა და არჩევნებში ხმის მიცემის უფლება ჰქონოდა.

ფედერაციამ ეს თხოვნა არ დააკმაყოფილდა და პრესკონფერენცია სწორედ ამ ფაქტის კომენტირებით გაიხსნა.

**შიო ხეცურიანი:**

– ორგანიზაციაში, რომელსაც გიორგი ცინცაძე ხელმძღვანელობს, სამოცზე მეტი კალათბურთელია გაწევრიანებული. მისი მიზანი მოთამაშეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვაა. ნამდვილად კარგი იქნებოდა, რომ ის საარჩევნო სუბიექტად ეღიარებინათ, თუმცა, ფედერაციამ ამჯერადაც შენიღბულად (ამ სიტყვას ხშირად გამოვიყენებ) იმოქმედა. საქმე ისაა, რომ „საქართველოს კალათბურთის მოთამაშეთა გაერთიანებას“ მხოლოდ განმეორებითი მიმართვის შემდეგ უპასუხეს, რომ მისი მოთხოვნა დაკმაყოფილებული ვერ იქნება, რადგანაც ფედერაციის აღმასკომის გადაწყვეტილებით, ახალი სუბიექტების დამატება 15 მაისის მერე აკრძალული ყოფილა. არადა, ეს დედლაინი არსად ყოფილა გამოქვეყნებული, რაც ეჭვს გვიჩენს, რომ სწორედ მათთვის არასასურველი კანდიდატისთვის მხარდამჭერთა რიცხვის შემცირებისკენ არის მიმართული. სამწუხაროა, რომ ფედერაციის ხელმძღვანელების მიერ გადადგმულ არასწორ ნაბიჯებს ყოველდღიურად ასეთი ფაქტები ემატება.

ფედერაციის ამჟამინდელი ხელმძღვანელები ხელს სხვადასხვა ხერხით გვიშლიან. გამგეობის მიერ შემუშავებული საარჩევნო ხმების გადანაწილების სქემაზე საუბარიც არ შეიძლება... სამართლიანობის ყველა პრინციპია დარღვეული. ვერავინ გვპასუხობს, პროცენტების მინიჭებისას რა კრიტერიუმები იქნა გამოყენებული. ფაქტია, რომ რაღაც ორმაგი თუ სამმაგი სტანდარტი მოქმედებს. მაგალითად, ბავშვთა სპორტსკოლები საარჩევნო სუბიექტებს შორის საერთოდ არ ფიგურირებენ. მიუხედავად ამისა, მტკიცედ გვჯერა, რომ სამართლიან გარემოში ჩვენს გამარჯვებას წინ ვერაფერი დაუდგება



და ფედერაციის კანდიდატს აუცილებლად დავამარცხებთ.

ნათლად ჩანს, რომ ამ ორგანიზაციის მუშაობა არაეფექტურია: ფედერაციის საქმიანობა არ არის გამჭვირვალე – ვერ მოვიპოვეთ ვერც ერთი საბუთი, რომელიც კანონიერად გვეკუთვნის; რთული ვითარება გვაქვს რეგიონებსა და ბავშვთა კალათბურთში; სუპერლიგის თამაშებზე 20-30 მაყურებელი დადის და არ ხდება სათანადო პიარკამპანია; ნაკრები აჩვენებს კარგ შედეგებს, თუმცა კალათბურთის პოპულარიზაცია არ ხდება.

ფედერაციამ ისიც არ იცის, რამდენი კალათბურთელია საქართველოში, რადგან ან არა აქვთ სიები, ან არ გვაწვდიან. რაც შეეხება გამგეობას, მათაც არ იციან, რა კრიტერიუმით არის შერჩეული. ორმაგი სტანდარტი არის გამოყენებული. ვერ აგვიხსნეს, თუ რატომ არ შეუძლია რეგიონალურ კალათბურთელთა სკოლას ხმის მიცემა.

უსამართლობაა, რომ კოტე ტუღუში გაუშვეს ნაკრებიდან. უსამართლობაა, რომ ქუთაისი დაიჩაგრა და ჩვენი მხარდაჭერის გამო, არ გადაერიცხათ თასის ფინალის 50.000 ლარი.

ცხადია, ცალკე უნდა ითქვას ესპანურ ბასკონიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე, რონელიც ნამდვილად მავნებლურ ხასიათს ატარებს. ეს არის იმის კლასიკური ნიმუში, თუ როგორ გარიგებში არ უნდა შედიოდეს ნებისმიერი სპორტული ფედერაცია. წარმოუდგენელია, როგორ უნდა ჩაიდოს ფინანსები უცხოელ ბავშვებში, ხოლო ქართველთა შემთხვევაში კი მათ კოლონიზაციასთან გვაქვს საქმე. ბასკონიას მხარეს მილიონობით ევროს ვუხდით და ზუსტად არ ვიცით, ამით რა სარგებელს მივიღებთ. თუმცა, აქვე ვამბობ, რომ კანონმდებლობით, ფედერაციას ამის უფლება აქვს. თუმცა, აქედან მოგება არ იქნება და ეს არის წამგებიანი ბიზნესი, სადაც ჩვენი, ხალხის ფული იკარგება.

ჩვენ ამ ყველაფერს ჩვენი 10-წლიანი პროგრამით ვუპირისპირდებით, რომელზეც 20-მდე ადამიანი მუშაობდა და ის უკვე არაერთ ადამიანსა თუ ჯგუფს წარვუდგინეთ. მისი დეტალების კიდევ ერთხელ განხილვას აღარ შევუდგები, მთავარი არსი კი კალათბურთის მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელებაა. ამჟამად, ჩვენთვის საყვარელი თამაში რამე სახით საქართველოს მხოლოდ 29 მუნიციპალიტეტშია წარმოდგენილი, ჩვენი სურვილი კი მისი ყველა, 60-ვე რეგიონში განვითარებაა. ასევე მსურს მასობრიობის გაზრდა, მოთამაშეების რაოდენობის გაზრდა. მსაჯების კვალიფიკაცია და ფინანსების სწორი მართვა. ასევე ვთვლი, რომ აუცილებელია სწორი მარკეტინგი და პიარი.

ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებ, რომ პაატა გურასპაული სწორედ მოქმედი ფედერაციის მიერ არის წარდგენილი. ეს ამბავი მთელმა საკალათბურთო სამყარომ იცის და ვწუხვარ, რომ ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერში პაატამ ამის თაობაზე რამდენჯერმე იცრუა. სამწუხაროდ, გურასპაული იმ სპექტაკლის მსახიობად იქცა, რომლის ყველა დეტალი გაწერილია. მოქმედი პრეზიდენტის, მიხეილ გაბრიჩიძის განცხადებაც, რომ მას ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია, კენჭს იყრის თუ არა, ამ სპექტაკლის ნაწილია.

კომენტარი გააკეთა გიორგი ცინცაძემაც, რომელმაც შიო ხეცურიანსა და მის გუნდს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა და აღნიშნა, რომ საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის სათავეში ახალი ძალის მისვლას მიესალმება.

**გიორგი ცინცაძე:**

– ნამდვილად არ ვმალავ, რომ შიოს მხარდამჭერი ვარ. მის თითოეულ ნაბიჯს ვენდობი და მტკიცედ მჯერა, ხეცურიანის ხელში ქართული კალათბურთი კიდევ უფრო განვითარდება. შესაძლოა, გარედან არ ჩანდეს, მაგრამ პრობლემები არ გვაკლია. თუ ვინმე იტყვის, რომ საქმე კარგად მიდის, ნამდვილად გამეცინება. უნდა გვესმოდეს, რომ ქართული კალათბურთი მხოლოდ ეროვნული ნაკრები არაა, რომელსაც ბოლო წლებში კარგი შედეგები აქვს. ჩემი აზრით, ბოლო ევრობასკეტზე ჩვენმა გუნდმაც სუსტი შედეგი აჩვენა და მხოლოდ ფინალურ ეტაპზე გასვლა წარმატებას ვერ ვუწოდებ, თუმცა, ეს სხვა საუბრის თემაა. მთავარია, რომ ქართულ კალათბურთში სამართლიანობის პრინციპი არ დაირღვეს. იგივე ქუთაისმა საქართველოს თასი მოიგო, მაგრამ კუთვნილი 50.000 ლარი გაუგებარ მიზეზთა გამო, ჯერაც არ მიუღია... საერთო ჯამში, წინსვლა არაა და გვინდოდა მომავალ არჩევნებზე ჩვენი, ანუ „საქართველოს კალათბურთის მოთამაშეთა გაერთიანების“ პოზიციაც დაგვეფიქსირებინა, თუმცა, სამწუხაროდ, ამის საშუალებას არ გვაძლევენ. მჯერა, შიოს გამარჯვებაში ფედერაციაში ნამდვილი პროფესიონალები მოვლენ და ეჭვქვეშ არც ერთი საკითხი აღარ დადგება.

ჩვენი მხრივ, „საქართველოს კალათბურთის მოთამაშეთა გაერთიანების“ ფედერაციის წევრად აღიარების შესახებ, ფედერაციის პრეზიდენტ მიხეილ გაბრიჩიძეს დავეკითხეთ:

– მაისში შედგა გამგეობის სხდომა, სადაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ 15 მაისის შემდგომ დარეგისტრირებული ორგანიზაციები საარჩევნო ყრილობამდე არ გაწევრიანდნენ ეროვნული ფედერაციის სრულუფლებიან წევრებად. მას შემდეგ შეიქმნა რამდენიმე ორგანიზაცია, არა მარტო კალათბურთელთა გაერთიანება, არამედ გულშემატკივართა კავშირი, ფანკლუბი და ა.შ. იმისთვის, რომ არ მომხდარიყო კოპირება სხვა ორგანიზაციების ან არ გაწევრიანებულიყვნენ ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც სპეციალურად შექმნილი იყო საარჩევნოდ, 15 მაისის შემდეგ რეგისტრირებულ ორგანიზაციებს არ ვიღებთ არჩევნების დამთავრებამდე. გადაწყვეტილება მაისშია მიღებული და ყველამ იცოდა ამის შესახებ.

# შედეგები

19 ნოემბერი

ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

უოტფორდი-ვესტ ჰემი ... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 12 | 11 | 1 | 0 | 40-7 | 34 |
| 2.მანჩესტერი | 12 | 8 | 2 | 2 | 27-6 | 26 |
| 3.ჩელსი | 12 | 8 | 1 | 3 | 23-10 | 25 |
| 4.ტოტენჰემი | 12 | 7 | 2 | 3 | 20-9 | 23 |
| 5.ლივერპული | 12 | 6 | 4 | 2 | 24-17 | 22 |
| 6.არსენალი | 12 | 7 | 1 | 4 | 22-16 | 22 |
| 7.ბარნლი | 12 | 6 | 4 | 2 | 12-9 | 22 |
| 8.უოტფორდი | 12 | 5 | 3 | 4 | 19-21 | 18 |
| 9.ბრაიტონი | 11 | 4 | 3 | 4 | 11-11 | 15 |
| 10.ჰადერსფილდი | 12 | 4 | 3 | 5 | 8-17 | 15 |
| 11.ნიუკასლი | 12 | 4 | 2 | 6 | 11-14 | 14 |
| 12.ლესტერი | 12 | 3 | 4 | 5 | 16-18 | 13 |
| 13.ბორნმუთი | 12 | 4 | 1 | 7 | 11-14 | 13 |
| 14.საუთჰემპტონი | 12 | 3 | 4 | 5 | 9-14 | 13 |
| 15.სტოკი | 11 | 3 | 3 | 5 | 13-22 | 12 |
| 16.ევერტონი | 12 | 3 | 3 | 6 | 12-24 | 12 |
| 17.ვესტ ბრომვიჩი | 12 | 2 | 4 | 6 | 9-18 | 10 |
| 18.ვესტ ჰემი | 12 | 2 | 3 | 7 | 11-25 | 9 |
| 19.სუონსი | 12 | 2 | 2 | 8 | 7-15 | 8 |
| 20.კრ.პალასი | 12 | 1 | 2 | 9 | 6-24 | 5 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ლიდსი-მიდლსბრო ... 2:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალაგა-დეპორტივო ... 3:2
ესპანიოლი-ვალენსია ... 0:2
ლას პალმასი-ლევანტე ... 0:2
ბილბაო-ვილიარეალი ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 12 | 11 | 1 | 0 | 33-4 | 34 |
| 2.ვალენსია | 12 | 9 | 3 | 0 | 32-11 | 30 |
| 3.რეალი | 12 | 7 | 3 | 2 | 22-9 | 24 |
| 4.ატლეტიკო | 12 | 6 | 6 | 0 | 16-6 | 24 |
| 5.სევილია | 12 | 7 | 1 | 4 | 14-12 | 22 |
| 6.ვილიარეალი | 12 | 6 | 3 | 3 | 19-12 | 21 |
| 7.სოსიედადი | 12 | 5 | 3 | 4 | 25-22 | 18 |
| 8.ბეტისი | 11 | 5 | 2 | 4 | 21-20 | 17 |
| 9.ლეგანესი | 12 | 5 | 2 | 5 | 9-11 | 17 |
| 10.ხეტაფე | 12 | 4 | 4 | 4 | 19-14 | 16 |
| 11.ხირონა | 12 | 4 | 4 | 4 | 14-17 | 16 |
| 12.ლევანტე | 12 | 3 | 6 | 3 | 14-15 | 15 |
| 13.სელტა | 12 | 4 | 2 | 6 | 23-19 | 14 |
| 14.ესპანიოლი | 12 | 3 | 4 | 5 | 9-15 | 13 |
| 15.ბილბაო | 12 | 3 | 3 | 6 | 12-16 | 12 |
| 16.დეპორტივო | 12 | 3 | 2 | 7 | 15-23 | 11 |
| 17.ეიბარი | 11 | 2 | 2 | 7 | 6-25 | 8 |
| 18.მალაგა | 12 | 2 | 1 | 9 | 9-25 | 7 |
| 19.ალავესი | 12 | 2 | 0 | 10 | 6-20 | 6 |
| 20.ლას პალმასი | 12 | 2 | 0 | 10 | 8-30 | 6 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ნუმანსია-ხიმნასტიკი ... 1:2
რაიო-ბარსელონა ბ ... 1:0
ოსასუნა-ალკორკონი ... 2:3
სევილია ბ-კორდობა ... 1:1
ლეონესა-გრანადა ... 1:1
ხიხონი-კადისი ... 0:3

**გერმანია. ბუნდესლიგა**

შალკე-ჰამბურგი ... 2:0
ვერდერი-ჰანოვერი ... 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 12 | 9 | 2 | 1 | 30-8 | 29 |
| 2.შალკე | 12 | 7 | 2 | 3 | 16-10 | 23 |
| 3.ლაიპციგი | 12 | 7 | 2 | 3 | 20-15 | 23 |
| 4.გლადბახი | 12 | 6 | 3 | 3 | 21-21 | 21 |
| 5.დორტმუნდი | 12 | 6 | 2 | 4 | 29-16 | 20 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 12 | 5 | 5 | 2 | 21-15 | 20 |
| 7.აინტრახტი | 12 | 5 | 4 | 3 | 14-12 | 19 |
| 8.ჰანოვერი | 12 | 5 | 3 | 4 | 15-15 | 18 |
| 9.ლევერკუზენი | 12 | 4 | 5 | 3 | 25-18 | 17 |
| 10.აუგსბურგი | 12 | 4 | 4 | 4 | 16-14 | 16 |
| 11.შტუტგარტი | 12 | 5 | 1 | 6 | 12-15 | 16 |
| 12.მაინცი | 12 | 4 | 3 | 5 | 13-17 | 15 |
| 13.ვოლფსბურგი | 12 | 2 | 8 | 2 | 16-17 | 14 |
| 14.ჰერტა | 12 | 3 | 5 | 4 | 16-19 | 14 |
| 15.ჰამბურგი | 12 | 3 | 1 | 8 | 10-20 | 10 |
| 16.ვერდერი | 12 | 1 | 5 | 6 | 8-14 | 8 |
| 17.ფრაიბურგი | 12 | 1 | 5 | 6 | 7-24 | 8 |
| 18.კიოლნი | 12 | 0 | 2 | 10 | 4-23 | 2 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დუისბურგი-აუე ... 3:0
ინგოლშტადი-ფორტუნა ... 1:0
ზ.პაული-რეგენსბურგი ... 2:2

**იტალია. სერია ა**

კროტონე-ჯენოა ... 0:1
ბენევენტო-სასუოლო ... 1:2
სამპდორია-იუვენტუსი ... 3:2
სპალი-ფიორენტინა ... 1:1
ტორინო-კიევო ... 1:1
უდინეზე-კალიარი ... 0:1
ინტერი-ატალანტა ... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 13 | 11 | 2 | 0 | 34-9 | 35 |
| 2.ინტერი | 13 | 10 | 3 | 0 | 25-9 | 33 |
| 3.იუვენტუსი | 13 | 10 | 1 | 2 | 37-14 | 31 |
| 4.რომა | 12 | 10 | 0 | 2 | 23-8 | 30 |
| 5.ლაციო | 12 | 9 | 1 | 2 | 32-14 | 28 |
| 6.სამპდორია | 12 | 8 | 2 | 2 | 27-15 | 26 |
| 7.მილანი | 13 | 6 | 1 | 6 | 19-18 | 19 |
| 8.ტორინო | 13 | 4 | 6 | 3 | 18-20 | 18 |
| 9.ფიორენტინა | 13 | 5 | 2 | 6 | 22-18 | 17 |
| 10.კიევო | 13 | 4 | 5 | 4 | 15-20 | 17 |
| 11.ატალანტა | 13 | 4 | 4 | 5 | 19-18 | 16 |
| 12.კალიარი | 13 | 5 | 0 | 8 | 12-21 | 15 |
| 13.ბოლონია | 12 | 4 | 2 | 6 | 11-15 | 14 |
| 14.უდინეზე | 12 | 4 | 0 | 8 | 18-23 | 12 |
| 15.კროტონე | 13 | 3 | 3 | 7 | 11-24 | 12 |
| 16.სასუოლო | 13 | 3 | 2 | 8 | 8-22 | 11 |
| 17.სპალი | 13 | 2 | 4 | 7 | 11-21 | 10 |
| 18.ჯენოა | 13 | 2 | 3 | 8 | 11-19 | 9 |
| 19.ვერონა | 12 | 1 | 3 | 8 | 8-26 | 6 |
| 20.ბენევენტო | 13 | 0 | 0 | 13 | 6-33 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

სალერნიტანა-კრემონეზე ... 1:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ტრუა-სტ.ეტიენი ... 2:1
ანჟე-ლიონი ... 3:3
ნიცა-მარსელი ... 2:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 13 | 11 | 2 | 0 | 43-9 | 35 |
| 2.მონაკო | 13 | 9 | 2 | 2 | 35-13 | 29 |
| 3.ლიონი | 13 | 7 | 5 | 1 | 32-15 | 26 |
| 4.მარსელი | 13 | 7 | 4 | 2 | 27-18 | 25 |
| 5.ნანტი | 13 | 7 | 2 | 4 | 12-13 | 23 |
| 6.კაენი | 13 | 6 | 1 | 6 | 9-14 | 19 |
| 7.სტ.ეტიენი | 13 | 5 | 3 | 5 | 14-18 | 18 |
| 8.მონპელიე | 13 | 4 | 5 | 4 | 9-8 | 17 |
| 9.ბორდო | 13 | 4 | 5 | 4 | 17-19 | 17 |
| 10.ტულუზა | 13 | 4 | 4 | 5 | 12-17 | 16 |
| 11.რენი | 13 | 4 | 3 | 6 | 15-17 | 15 |
| 12.დიჟონი | 13 | 4 | 3 | 6 | 17-22 | 15 |
| 13.ტრუა | 13 | 4 | 3 | 6 | 13-18 | 15 |
| 14.გენგამი | 13 | 4 | 3 | 6 | 14-22 | 15 |
| 15.ანჟე | 13 | 2 | 8 | 3 | 17-20 | 14 |
| 16.ნიცა | 13 | 4 | 2 | 7 | 15-20 | 14 |
| 17.სტრასბური | 13 | 3 | 4 | 6 | 15-24 | 13 |
| 18.ლილი | 12 | 3 | 3 | 6 | 12-16 | 12 |
| 19.ამიენი | 12 | 3 | 3 | 6 | 8-14 | 12 |
| 20.მეცი | 13 | 1 | 1 | 11 | 5-24 | 4 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

დენ ჰააგი-ერაკლესი ... 4:1
გრონინგენი-ვიტესი ... 4:2
ზვოლე-პსვ ... 0:1
უტრეხტი-ექსელსიორი ... 3:1
როდა-ალკმაარი ... 0:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

უფა-ურალი ... 2:0
ანჟი-ლოკომოტივი ... 0:1
როსტოვი-ამკარი ... 0:0
ზენიტი-ტოსნო ... 5:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-თუნი ... 2:0
ლოზანა-ლუცერნი ... 3:1
იანგ ბოიზი-ციურიხი ... 2:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰართსი-პარტიკი ... 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-შტურმი ... 5:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

ვარეგემი-გენკი ... 0:1
ბრიგე-ბევერენი ... 3:0
ლოკერენი-გენტი ... 0:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ქსანთი-პანიონიოსი ... 2:0
იანინა-პანეთოლიკოსი ... 1:1
პლატანიასი-ასტერასი ... 0:3
პანათინაიკოსი-აეკი ... 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ალანია-მალათია ... 1:0
გენჩლერი-კაისერი ... 1:2
ტრაბზონი-ოსმანლი ... 4:3
ფენერბახჩე-სივასი ... 4:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

კარვინა-იაბლონეცი ... 2:1
ბოლესლავი-ბოჰემიანსი ... 1905 1:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

შლასკი-არკა ... 2:1
ლეგია-გურნიკი ... 1:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ვორსკლა-სტალი ... 1:1

***ვორსკლას გოლი სანდრო კობახიძემ გაიტანა***

ჩერნომორეცი-ოლიმპიკი ... 2:1

**დანია. სუპერლიგა**

ლუნგბიუ-რანდერსი ... 1:3

***რანდერსის მე-3 გოლი საბა ლობჟანიძემ გაიტანა***

ჰორსენსი-ოდენსე ... 0:0
სონდერიისკე-კოპენჰაგენი ... 3:0
ბრონდბიუ-ნორდსიელანდი ... 4:2

**ნორვეგია. ელიტსერია**

ვალერენგა-ოდ გრელანდი ... 2:0
კრისტიანსუნდი-სანდერფიორდი ... 3:2
ლილესტრიომი-მიოლდე ... 0:1
რუსენბორგი-ვიკინგი ... 2:0
სარპსბორგი-ალესუნდი ... 1:0
სტაბეკი-სონგდალი ... 1:1
სტრომგოდსეტი-ბრანი ... 2:1
ტრომსო-ჰაუგესუნდი ... 2:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ბაიერნმა 3.000 ქულას გადააჭარბა



მიუნხენის ბაიერნი პირველი გუნდი გახდა ბუნდესლიგის ისტორიაში, რომელმაც შეძლო 3.000 ქულის გადალახვა. აუგსბურგთან 3:0 გამარჯვების შემდეგ, 1965 წლის სადებიუტო სეზონიდან, გერმანიის უმაღლეს ლიგაში ყველა დროის გამოსვლების ჯამურმა მაჩვენებელმა 3.001 ქულა შეადგინა. ასეთი შედეგის მიღწევისათვის ბავარიელებს 1.784 თამაში დასჭირდათ. ბაიერნი ქულათა დიდი სხვაობით უსწრებს დორტმუნდის ბორუსიას (2.314 ქულა) და ბრემენის ვერდერს (2.285 ქულა).

აუგსბურგთან მატჩში საკუთარი პერსონალური მიღწევები დააფიქსირეს – იუპ ჰაინკესმა, ჯოშუა კიმიხმა და რობერტ ლევანდოვსკიმ.

ჰაინკესმა აუგსბურგთან მატჩში თავისი მე-500 გამარჯვება იზეიმა ბუნდესლიგის ფარგლებში: 174-ჯერ ფეხბურთელის რანგში, ხოლო მწვრთნელის რანგში 326-ე გამარჯვება აღნიშნა. აქამდე ამ მაჩვენებლისათვის არავის არ მიუღწევია. ამ შედეგისათვის ბავარიელთა მწვრთნელს 1.016 მატჩი დაჭირდა. ბუნდესლიგის მთელს ისტორიაში მას ოტო რეჰეგალი (457) და ფელიქს მაგატი (391) მოსდევს.

თავად ჰაინკენსი ძალიან გაოცდა ამ ციფრებით:

– არასოდეს გავტაცებულვარ ციფრებით და სტატისტიკით. არ შემიძლია იმის თქმა, რომ ეს ჩემთვის არაფერს არ ნიშნავს. თუმცა, ეს მეტად სოლიდური ციფრია. ამას გავითვალისწინებ...

ჰაინკესმა ამავე დროს ასევე ერთი პირადი რეკორდიც დაამყარა: ბუნდესლიგის ბოლო 30 მატჩი მის გუნდს მარცხი არ უგემია (26 გამარჯვება, 4 ფრე). ბუნდესლიგის მთელს ისტორიაში ამ მაჩვენებლით მხოლოდ იურგენ კლოპი (31 მატჩი) და ერნსტ ჰაპელი (36 მატჩი) უსწრებენ.

თავის 62-ე ბუნდესლიგის თამაშში კიმიხმა 50-ე გამარჯვება იზეიმა. აქამდე არავის ასე სწრაფად არ მიუღწევია ამ ნიშნულისათვის. საუკეთესო მაჩვენებლები აქამდე 2 ფეხბურთელს ეკუთვნოდა: ანდრეას ოტლს და სვენ ბენდერს, რომელსაც 71 თამაში დასჭირდა, რომ თავისი 50-ე გამარჯვება ეზეიმა.

ლევანდოვსკიმ ზედიზედ მე-6 ბუნდესლიგის საშინაო მატჩში გაიტანა. აქამდე ეს მხოლოდ გერდ მიულერს აქვს მიღწეული (1972-73). თუ შემდეგ საშინაო მატჩში ჰანოვერის წინააღმდეგ პოლონელი კვლავ გაიტანს, მაშინ დიად გერმანელსაც ჩამოიტოვებს ამ მაჩვენებლით და ერთადერთი რეკორდული სერიის მფლობელი გახდება.

# ბენევენტომ მანჩესტერის რეკორდი „დაამხო“



იტალიური საფეხბურთო კლუბი ბენევენტო ყველა დროის ანტირეკორდის ავტორი გახდა. 13 თამაში, 13 წაგება – ასე დაიწყო რობერტო დე ძერბის გუნდმა სერია ა-ს მიმდინარე გათამაშება. ფეხბურთის ისტორიაში ასეთი ცუდი მაჩვენებელი არც ერთ გუნდს ჰქონია.

ბენევენტოსთვის გულის დამამშვიდებელი მხოლოდ ის თუ იქნება, რომ მათ მანჩესტერ იუნაიტედის „რეკორდი“ დაამხეს.

სწორედ იუნაიტედი იყო ის გუნდი, რომელმაც 87 წლის წინ, 1930-31 წლების სეზონში ინგლისის ჩემპიონატში 12-დან 12 მატჩი წააგო.

აქვე გეტყვით, რომ საუბარი მხოლოდ ტოპ-5 ჩემპიონატზეა – ბუნდესლიგა, ლა ლიგა, პრემიერლიგა, სერია ა და ლიგა 1.

# ფაჩულია და შენგელია იგებენ, დიქსონი ნაკრებში ჯანზე მოდის

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ხუთეულში ითამაშა და 32 წუთში 9 ქულა, 7 მოხსნა (3 შეტევაში) და 2 ჩაჭრა მიითვალა. მანუჩარმა 6-დან 1 ორქულიანი, 5-დან 2 სამქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

2 მოგებითა და 6 მარცხით რეჯიო ემილია მე-14 ადგილზე დამკვიდრდა, მომდევნო მატჩს კი შინ, ერთ-ერთ ლიდერ ემპორიო არმანისთან ჩაატარებს. მანამდე კი მარკოიშვილს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ელის მატჩები, რომელსაც გერმანიაში 22 ნოემბერს შეუერთდება.

გერმანიაში ჩავა მაიკლ დიქსონიც, რომელიც ბოლო დროს ისევ ჩვეულად ათამაშდა. არადა, დიქსონმა ვენეციასთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო და საკადრო პრობლემების გამო ისედაც რთულ მდგომარეობაში მყოფ საქართველოს ნაკრებს, შესაძლოა, მორიგი პრობლემა დამატებოდა. საბედნიეროდ, 2 მატჩის გამოტოვების შემდეგ მაიკლი ჩვეულად ათამაშდა.

დიქსონმა საფრანგეთის ჩემპიონატის მე-10 ტურში, სახლში, მე-3 ადგილზე მყოფ ვიიერბანის ასველთან მოგებულ შეხვედრაში (82:76) მართლაც ჩინებულად იასპარეზა. მაიკლმა 21 წუთში 17 ქულა ჩააგდო (7-დან 6 ორქულიანი, 4-დან 1 სამქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო), 4-ჯერ მოხსნა და 6-ჯერ ჩაჭრა ბურთი.

საქართველოს ნაკრებში წამოსვლამდე მეგა ბიმაქსში ბოლო მატჩი ითამაშა გოგა ბითაძემ. ადრიატიკის ლიგის სერბულ დერბიში მეგა ბელგრადის ფმპ-ს შეხვდა და 88:96 დამარცხდა.

ქართველმა ცენტრმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე 22 წუთი გაატარა. ბითაძემ 7-დან 3 ორქულიანი ჩააგო, 3 სამიანი კი ააცილა. შედეგად, 18 წლის ქართველმა ცენტრმა 6 ქულა მოაგროვა, რასაც 4 მოხსნა და 3 დაფარება მიაყოლა.

3 მოგებითა და 6 მარცხით მეგა ბიმაქსი 12 გუნდიან ადრიატიკის ლიგაში მე-8 ადგილზეა. მომდევნო მატჩს ბითაძის გუნდი ზადართან გამართავს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## კალეიდოსკოპი

# თუთიყუშმა დიეგომ ორეგონის პოლიცია შეაშინა



ამერიკის ორეგონის შტატის მცხოვრებლებმა თუთიყუშის ყვირილის გამო სახლში პოლიცია გამოიძახეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი კალკამასის ოლქში მოხდა. კურიერმა, რომელიც შეკვეთებს არიგებს, ყვირილი გაიგონა, რომელიც დახმარებას ითხოვდა, და ეს ხმა ერთ-ერთი ბინიდან გამოდიოდა. მან იფიქრა, რომ ვილაცას სერიოზულად უჭირდა და მეუღლეს სთხოვა, რომ ამ სახლში პოლიცია გამოეძახა, თავად კი გადაწყვიტა ადგილზე სამართალდამცავების მისვლას დალოდებოდა.

მაგრამ, როდესაც პოლიციელები სახლში შევიდნენ, აღმოჩნდა, რომ დახმარებას თუთიყუში დიეგო ითხოვდა, თუმცა სინამდვილეში მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა. აღსანიშნავია, რომ თუთიყუში სრულიად ჯანმრთელი იყო და შესანიშნავ განწყობაზე იმყოფებოდა.

# ყველაზე ლამაზდუნდულებიან ბრაზილიელებს ხორცის ბიკინები ჩააცვეს



კონკურსის მის ბუმბუმის მონაწილეები, რომელზეც ბრაზილიის ყველაზე ლამაზი დუნდულების მფლობელი გამოვლინდება, უმი საქონლის ხორცის ბიკინებში გამოეწყვნენ და ფოტოსესიაში მიიღეს მონაწილეობა.

გადაღება დაახლოებით რვა საათს გრძელდებოდა. მონაწილეებს საერთო ჯამში 50 კილოგრამი საქონლის ხორცისგან დამზადებული ბიკინები ეცვათ.

ფოტოსურათები კონკურსზე მისაწვევ ბილეთებზე იქნა განთავსებული. ორგანიზატორები ამტკიცებენ, რომ საქონლის ხორცის ბიკინი თვალსაჩინოდ ამტკიცებს იმას, რომ „ქალი უბრალოდ ხორცის ნაჭერს არ წარმოადგენს“.

კონკურსი მის ბუმბუმი ბრაზილიაში მეშვიდედ იმართება. მისი პირობების თანახმად, აკრძალულია პლასტიკური ქირურგიის გამოყენება დუნდულების ზომის ან ფორმის შესაცვლელად.

# პოლიციელებმა ახალგაზრდას შარვალში გველი აღმოუჩინეს



გერმანიის ქალაქ დარმშტადტში პოლიციელებმა ნასვამ 19 წლის ახალგაზრდას 35 სანტიმეტრიანი გველი აღმოუჩინეს.

სამართალდამცავებმა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდა მამაკაცი ადგილობრივ მცხოვრებთან დაპირისპირების გამო დააკავეს. პოლიციელების ყურადღება მისმა შარვალმა მიიპყრო, რომელიც საგრძნობლად იყო გამობერილი. ახალგაზრდამ აღიარა, რომ შარვალში სამეფო პითონის ნაშიერი ჰყავდა.

პოლიციელებმა ვერ მოახერხეს პასუხი მიეღოთ კითხვაზე, თუ რაში სჭირდებოდა მას გველის წიწილი. ახლა ისინი არკვევენ, დაარღვია თუ არა ყმაწვილმა თავისი ქმედებით ცხოველთა დაცვის კანონი.

# ქურდმა დაცვას ქანდაკება ცხვირწინ ააცალა



პარიზის ცენტრში მდებარე გალერეიდან დღისით, მზისით ბრინჯაოს ქანდაკება გაიტაცეს, რომელიც 425 ათას ევროდაა შეფასებული. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ქურდობა გალერეა ბარტუში მოხდა, რომელიც ელისეის მინდვრებზე პრეზიდენტის სასახლის გვერდით მდებარეობს. დაცვამ დანაკარგი მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ შენიშნა, როდესაც გალერეა უკვე იხურებოდა.

სათვალთვალო კამერის ჩანაწერის თანახმად, ცნობილი კოლუმბიელი მხატვარის ფერნანდო ბოტეროს ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ნამუშევარმა უცნობი წვეროსანი მამაკაცის ყურადღება მიიპყრო.

გამოძიებასთან დაახლოვებულმა წყარომ გამოცემას განუცხადა, რომ გამტაცებელმა რამდენჯერმე შემოუარა გარშემო ხელოვნების ნაწარმოებს, ირგვლივ მიმოიხედა, შემდეგ აიღო, იღლიის ქვეშ ამოიდო და აუჩქარებლად, მშვიდად გაემართა გასასვლელისკენ.

გატაცებულ ქანდაკებას „დედობა“ ეწოდება და შიშველი ბავშვიანი ქალის გამოსახულებას წარმოადგენს. ამ ქანდაკების რვა ვარიანტი არსებობს, რომლებიც ერთმანეთისგან ზომებით განსხვავდებიან. ვერსია, რომელიც პარიზის გალერეაში ინახებოდა 57 სანტიმეტრი სიმაღლისაა და 10 კილოგრამს იწონის.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 21 ნოემბერი



**ვერძი** – ზედმეტი ემოციურობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. ხალხმრავლობას ერიდეთ. **კურო** – მატერიალური მდგომარეობა საკმაოდ გიუმჯობესდებათ. შემოთავაზებული წინადადება თამამად მიიღეთ. **ტყუპები** – თქვენი შემოსავალი იზრდება. ვარსკვლავები გწყალობენ. ჯანმრთელობას მეტი დრო დაუთმეთ. **კირჩხიბი** – გარშემომყოფების კეთილგანწყობას გრძნობთ. მოსალოდნელია საქმიანი შეხვედრები. **ლომი** – ნუ იქნებით ზედაპირული. ერიდეთ სხვის საქმეში ჩარევას. საკუთარ თავზე ზედმეტ პასუხისმგებლობას ნუ აიღებთ. **ქალწული** – ემოციურად დაძაბული დღეა. მწვავდება ქრონიკული დაავადებები. თუ საშუალება გაქვთ, სახლში დარჩით და დაისვენეთ. **სასწორი** – კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. შეგიძლიათ, თამამად გარისკოთ. **ღრიანკალი** – კრიტიკული დღეა. პირადი პრობლემები თავს იჩენს. სიტუაციის გამწვავება არ ღირს. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი მძლავრია. მიზანს დაბრკოლებების გარეშე მიაღწევთ. **თხის რქა** – იაქტიურეთ. პროფესიულ სფეროში წარმატებები გელით. შესაძლოა დაგაწინაურონ კიდეც. **მერწყული** – იყავით მაქსიმალურად ორგანიზებული, დისციპლინირებული. ოჯახის წევრებს არ ეჩხუბოთ. **თევზები** – ფანტაზიას მეტი გასაქანი მიეცით. განსაკუთრებით იღბლიანია დღის მეორე ნახევარი.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მთიანეთი ციმბირის სამხრეთში; 2. ორსართულიანი ლაზური სახლი; 3. სახელმწიფო აზიაში; 4. შინაური ფრინველი; 5. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 6. ძვირფასი სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მინერალი; 9. ქართველი პრიმა-ბალერინა; 10. საერთაშორისო ბაზარზე გატანილი პირველი ქართული ღვინო, იწარმოება 1886 წლიდან; 11. იტალიური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. მწერი განვითარების ერთ-ერთ სტადიაში; 16. პროფესიონალი მომღერალი, მოცეკვავე, გამრთობი ქალი იაპონურ საჩაიეებში; 18. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნიანი ვაზის ქართული ჯიში; 20. ნიჟარაში ბინადარი, უხერხემლო, რბილსხეულიანი ზღვის ცხოველი; 23. ფულის ერთეული არგენტინაში; 24. გერმანელი ფილოსოფოსი; 25. გამარტივებული ნახაზი; 26. იაპონური ხის ქოშები.

**თარაზულად:** 7. მეექვსე საუკუნის ეკლესია თბილისში; 8. ატმოსფეროს ზედა ნაწილი; 12. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 13. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 15. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული სირაქლემა; 17. მუზეუმი ბერლინში; 19. ხეებზე, ქვებზე მზარდი სპოროვანი მცენარე; 21. დაბალი ხის მაგიდა; 22. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 27. დანიელი მეზღაპრე; 28. დედამიწის ქერქის მოძრაობისა და დეფორმირების შემსწავლელი მეცნიერება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*





## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. კომეტა; 7. ასპარეზი; 8. პაროლი; 10. ტორტი; 11. ვისკონსინი; 13. პომიდორი; 16. კარატი; 19. რეგტაიმი; 20. კილოვატი.

**შვეულად:** 1. კოკაინი; 2. შტილი; 3. ასტატინი; 4. ტრემოლო; 5. სინდიკატი; 9. კისერი; 12. პალიტრა; 14. ორიონი; 15. დალი; 17. ტაიმი; 18. ორბი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. რუ; 2. კანადა; 3. მაკლერი; 4. მია; 5. მესტია; 6. ბილ; 7. ანდანტე; 8. არგანი; 9. კოკა; 10. ანანკე; 11. ასორტი; 12. რომანი; 13. მანტია; 14. რეესტრი; 15. მა; 16. ელია; 17. გროგი; 18. ოსანა; 19. ანტრე; 20. ინოზიტი; 21. მარკ; 22. ზორგე; 23. სვია; 24. ტაუ; 25. ჩარი; 26. იაკი; 27. იდიია; 28. ერისიონი; 29. შედევრი; 30. კია; 31. რიკოშეტი.

**სურათებზე:** ლინდსეი ლოჰანი; ანატოლი ტიმოშჩუკი.

# თემურ ჩხეიძე იუბილარია



რეჟისორი თემურ ჩხეიძე იუბილარია. მრავალი მილოცვა და საუკეთესო სურვილები რეჟისორმა არა მარტო კოლეგებისგან, არამედ მსახიობებისგან და რიგითი მაყურებლებისგანაც მიიღო.

– თეატრი არის ადგილი, სადაც მე ჩემთვის რაღაცებს ვიკვლევ და ვაკვირდები ამა თუ იმ მოვლენას და ადამიანებს. ეს არის ადგილი, სადაც ყველაზე მეტად მაინტერესებს ასეთი რამეების კვლევა. განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ, ვიკვლევ, – აცხადებს იუბილარი რეჟისორი.

სწორედ ამ „კვლევის“ პროცესშია თემურ ჩხეიძე თითქმის 50 წელი სხვადასხვა თეატრის სცენაზე. წარმატებული და აღიარებული სპექტაკლების რეჟისორი, 100-მდე საოპერო და სატელევიზიო დადგმის, განსხვავებული ესთეტიკისა და სცენიური ფორმის ავტორი.

როგორც თავად რეჟისორი ამბობს, მისთვის ყველა ცხოვრებისეული ეტაპი ერთგვარი გამოცდილებაა, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ოჯახი და საყვარელი ადამიანებია, რომელთა უსაზღვრო სიყვარულმაც სამუდამოდ დააბრუნა სამშობლოში.

# ქართველებმა პოლონურ „ნიჭიერში“ კიდევ ერთი ფურორი მოახდინეს

ქართული ცეკვის ანსამბლმა „დაისი“ პოლონური „ნიჭიერის“ შესარჩევ ტურში ქართული ცეკვის შესრულებით ჟიურის და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. მათ ჟიურისგან 3 კი და შემდეგ ტურში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ანსამბლის წევრების სცენაზე კიდევ ერთხელ გამოჩენა ნამდვილი დღესასწაული აღმოჩნდა პოლონური „ნიჭიერის“ ჟიურისა და მაყურებლისთვის. მოცეკვავეებმა კომპოზიცია „ზეცა“ შეასრულეს და ნამდვილი ფურორი მოახდინეს. მუსიკა ამ ნომრისთვის ბენდმა „მუცომ“ შექმნა, კოსტიუმების ავტორი კი „ფაფანაკია“.

პოლონური „ნიჭიერის“ ჟიურის და მაყურებლის წინაშე წარდგნენ ანსამბლ „დაისის“ მოცეკვავეები სოფი ხინჩაგაშვილი, მიხეილ დვალიშვილი, გიორგი გურჩიანი და ილო ჯინჭარაძე.

„დაისის“ მიერ შესრულებულ ცეკვას ჟიურიმ ცეცხლოვანი და ურთულესი ქართული ცეკვა უწოდა, თავად მოცეკვავეებს კი – ნამდვილი ვირტუოზები. ქართველი მოცეკვავეების გასამხნევებლად დარბაზში ქართული დროშებიც ფრიალებდა.

ჟიურის წევრების და მაყურებლის გარდა, ქართული ცეკვით მოიხიბლა შოუს წამყვანიც. მან საჯაროდ განაცხადა, რომ ქართული ცეკვის ილეთების შესრულება მისთვის წარმოუდგენელია. ქართველმა მოცეკვავეებმა დამსწრე საზოგადოებას უამბეს, რომ ამ ცეკვით მათ საქართველოს ისტორია გააცოცხლეს და განმარტეს, რომ ქართველ ქალს შეუძლია ომის დასრულება.

– ეს არის საქართველოს ისტორიის ილუსტრაცია, რა წარსული გვქონდა და რა ვართ ახლა, – განაცხადა ანსამბლ „დაისის“ ერთ-ერთმა წევრმა, რაზეც წამყვანმა ხუმრობით უპასუხა, ამ ლოგიკის თანახმად, საქართველოში ძირითადად მამაკაცები ცხოვრობენ, რადგან სცენაზე სამი ბიჭი და ერთი გოგო იდგა.



– ბრწყინვალე, სახასიათო გამოსვლა. მოცეკვავეებმა აჩვენეს საოცარი ენერგია, უბადლო ტექნიკა, ბალანსი. ეს იყო სრულყოფილება, ეს იყო ქართველი ერის ხასიათი, სული. ეს არ იყო რთული ცეკვა, ეს იყო ცეცხლოვანი, ურთულესი ცეკვა, რომელსაც ასე სრულყოფილად მხოლოდ ვირტუოზები ასრულებენ. ეს იყო ქართული მიწის ძახილი, – ასე შეაფასეს პოლონური „ნიჭიერის“ ჟიურის წევრებმა ქართველი მოცეკვავეები.

# გიორგობის დღესასწაულზე პატრიარქი 700-მდე პატარას მონათლავს



23 ნოემბერს, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე კიდევ 700-მდე პატარას მონათლავს.

რიგით 51-ე საყოველთაო ნათლობა სამების ტაძარში გაიმართება. პატრიარქის ნათლული გახდება ყველა ის პატარა, რომელიც ჯვარდაწერილი მშობლების მესამე და მომდევნო შვილია.

ამ ინიციატივით მისი უწმინდესობა რამდენიმე წლის წინ ნათლისღების დღესასწაულზე გამოვიდა და საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ჯვარდაწერილი მშობლების მესამე და მომდევნო შვილების ნათლიობის სურვილი გამოთქვა.

საყოველთაო ნათლობაზე ილია მეორის ნათლულებს ახალი აღთქმა, ნათლობის ჯვარი, სანთელი და ნათლობის მოწმობა გადაეცემა. ნათლობის დასრულების შემდეგ კი მისი უწმინდესობა თავის ახალ ნათლულებს და მათ მშობლებს პირადად შეხვდება და დალოცავს.

ილია მეორეს მთლიანობაში 30.000-მდე ნათლული ჰყავს.

# გიორგი ოვაშვილის „ხიბულა“ საქართველოს კინოთეატრებში გამოდის

23 ნოემბერს გიორგი ოვაშვილის ერთ-ერთი ბოლო ფილმი „ხიბულა“ საქართველოს კინოთეატრებში გამოდის.

ქართულ პრემიერამდე კინოთეატრ „ამირანში“ 21 ნოემბერს ფილმის დახურული ჩვენება ჩატარდება. სპეციალურად ამ დღისთვის საქართველოში ზვიად გამსახურდიას როლის შემსრულებელი, ირანელი მსახიობი ჰოსეინ მაჰჯუბი ჩამოვა.

ფილმი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას სიცოცხლის უკანასკნელი 50 დღის შესახებ მოგვითხრობს.

„ხიბულას“ მსოფლიო პრემიერა კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარ საკონკურსო პროგრამაში შედგა, ეროვნული პრემიერა კი ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში გაიმართა.

„ხიბულა“, „სიმინდის კუნძულისა“ და „გაღმა ნაპირის“ რეჟისორის გიორგი ოვაშვილის ტრილოგიის დასკვნითი ნამუშევარია. ფილმი საქართველოს, საფრანგეთის, გერმანიის ერთობლივი ნამუშევარია.

გიორგი ოვაშვილი:

– ფილმი ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ყველაზე




მძიმე პერიოდს – გასული საუკუნის 90-იან წლებს და საქართველოს პირველი პრეზიდენტის სიცოცხლის ბოლო დღეებს ეძღვნება.

რეჟისორის ერთ-ერთ ბოლო ფილმს ვრცელი სტატია მიუძღვნა მსოფლიოს გავლენიანმა უცხოურმა გამოცემამ „ვარიეტი“:

– „სიმინდის კუნძულის“ რეჟისორის, გიორგი ოვაშვილის, ახალი ფილმი, ეს იმპრესიონისტული ეპიზოდი საქართველოს ისტორიიდან, ერთდროულად შემეცნებით ხასიათს ატარებს და რთული და დაძაბული მომენტებით არის სავსე. ფილმი მოგვითხრობს არა გრძელი დღის ან ღამის მოგზაურობაზე, რომელსაც ბოლო უჩანს, არამედ გასავლელ გზაზე, სადაც დრო უსასრულოდ გრძელდება და დანიშნულების ადგილი არ არსებობს. ფილმში „ხიბულა“ უჩვეულო, თავისუფალი პოეტური ხერხითაა აღწერილი ისტორიული ფაქტი, რომელიც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ცხოვრების უკანასკნელი თვეების შესახებ მოგვითხრობს. „ხიბულა“ ქართველი რეჟისორის, გიორგი ოვაშვილის შთამბეჭდავი მესამე ფილმია, რომელშიც რეჟისორი გარემოსა და ფოლკლორული ელემენტების გამოყენებით აღწერს მთავარი გმირის ბიოგრაფიულ დეტალებს, ცდილობს რა გაურკვეველ გადასახლებაში მყოფი პრეზიდენტის სულიერი და ფსიქიკური მდგომარეობის ახსნას. აკვირდება რა მიუვალ მთებში გახიზნული პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის ერთი დროებითი სადგომიდან მეორე დროებით სადგომამდე გადაადგილებას, მაყურებელი ცხადად შეიგრძნობს იმ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დაუძლურებას, რომელიც თან ახლავს მუდმივ გაურკვევლობაში ყოფნას, სადაც ნებისმიერი ემოციური მდგომარეობა ნელ-ნელა ბუნდოვანი და უფერული ხდება.

# ნაირა გელაშვილმა სახალხო დამცველის ჯილდო უკან დააბრუნა

მწერალმა ნაირა გელაშვილმა სახალხო დამცველის ჯილდოზე უარი თქვა და უკან დააბრუნა. ჯილდო მწერალს რამდენიმე წლის წინ გადაეცა, თუმცა წლების შემდეგ მან კუთვნილ ჯილდოზე უარი განაცხადა.

კავკასიური სახლის ხელმძღვანელი სახალხო დამცველთან არსებულმა რელიგიათა საბჭომ ტოლერანტობის კულტურის განვითარებაში შეტანილი გამორჩეული წვლილისთვის დააჯილდოვა.

ნაირა გელაშვილი სახალხო დამცველის ოფისში მივიდა და ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გიგა ბოკერიასთვის და „რუსთავი 2“-სთვის ამ ჯილდოს მინიჭების შემდეგ, მას არ სურს იგივე ჯილდოს მფლობელი იყოს:

– სახალხო დამცველის, მისი აპარატის იდეა არის ჩაგრულთა გვერდში დგომა, დაუცველთა დაცვა და არა მოძალადეების გვერდით დადგომა. სახალხო დამცველმა „ნაციონალური მოძრაობის“ თავკაცებს, ბოროტმოქმედებს მიანიჭა ტოლერანტობის ქომაგის წოდება და თანაც, 7 ნოემბრის 10 წლისთავზე, როდესაც ათი წლის წინ არნახული ხოცვა-ჟლეტა და დარბევა განახორციელა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამ



ადამიანების მონაწილეობით, ხოლო „რუსთავი 2“ ყოველთვის იყო ამ ბოროტების რუპორი და თანამოქმედი. ცნობილი 7 ნოემბრის ათი წლის თავზე არნახული ხოცვის პარალელურად ჯილდოს მინიჭება ბოკერიასთავის არის დაცინვა, რომელიც ყოველთვის იყო რუპორი ამ პროცესების, – განაცხადა ნაირა გელაშვილმა.

უკან მიბრუნებულ სიგელზე კი მწერალმა ასეთი წარწერა დატოვა:

– გიბრუნებთ უკან ტოლერანტობის ქომაგის ჯილდოს, რადგან თქვენ ლახვარი ჩაეცით თავად ტოლერანტობის ცნებას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კალეიდოსკოპი




# ამერიკელმა საკუთარ აუზში ძროხა აღმოაჩინა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ ნიუტონის მცხოვრებმა საკუთარ აუზში ძროხა აღმოაჩინა. ამის ამსახველი ვიდეორგოლი ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტელეარხმა საკუთარ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა.

როგორც მამაკაცმა ტელეარხს განუცხადა, მას მოეჩვენა, რომ თითქოს აუზში რაღაც ჩავარდა და სახლიდან გამოვიდა, რათა შეემოწმებინა, ყველაფერი წესრიგში იყო თუ არა. აუზის გადასაფარებლის ქვეშ მან რქები შენიშნა, ხოლო მისი აღების შემდეგ წყალში მდგომი წითური ფერის ძროხა აღმოაჩინა. ამის შემდეგ მან მაშველები გამოიძახა და ორი საათის შემდეგ მათ 300-კილოგრამიანი ცხოველი აუზიდან უვნებლად ამოიყვანეს.

– გულახდილად ვიტყვი, რომ კატობას ოლქში შვიდი წლის მუშაობის მანძილზე პირველი შემთხვევაა, როდესაც აუზში ძროხა აღმოჩნდა, – აღნიშნა ცხოველთა კონტროლის საოლქო განყოფილების თანამშრომელმა ჯენა არსენომ.

მისი თქმით, მაშველები ცხოველის მდგომარეობის გამო ნერვიულობდნენ, ვინაიდან ციოდა და შესაძლო იყო, რომ ძროხას ჰიპოთერმია დამართოდა, თუმცა მათი შიში არ გამართლდა. საბოლოო ჯამში ძროხა მის პატრონს დაუბრუნეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## პროგრამა

**სამშაბათი 21 ნოემბერი**

07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია. "მოგზაური დორა" 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00, 03.45 "პირადი ექიმი 11.00 დოკ/ფ "რომაული ელეგანტურობა" 12.15"სპორტის დაფა" 12.40"აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 13.25, 22.15 ტ/სერ. "**სახელმწიფო მდივანი**" 14.30დოკ/ფ "მეცნიერება - ხვალ უკვე დღეს" 15.30, 05.45 დოკ/ფ "გერმანიის ხელოვნება" 16.30 ტ/სერ. "**ველვეტი**" 18.30, 06.45 დოკ/ფ "გონების თამაშები" 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 20.00, 04.45 ტ/სერ. "**ელემენტარული**" 21.30 "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 23.10 უეფა-ს ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა 23.40 **ფეხბურთი**. უეფა-ს ჩემპიონთა ლიგის მატჩი 01.35 უეფა-ს ჩემპიონთა მატჩის შემდგომი გადაცემა 02.10მხ/ფ "**სნაიპერი. მემკვიდრეობა**" (ტ.ბერენჯერი)

06.30, 16.00 სერ. "**ტყუილი**" 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.15 ქრონიკა 10.10, 14.40 სერ. "**ელიფი**" 11.20 სერ. "**ფიცი**" 12.30 იმედის დღე 17.35 სერ. "**ქალაქის გული**" 18.50, 19.03 სერ. "**მოპარული ცხოვრება**" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "**დედა**" 22.00 თოქ შოუ – პირისპირ 23.30 სერ. "**დიდი შესვენება**" 3 სერ. 00.10 მხ/ფ "**ქეით მაკკოლის მეორე მცდელობა**" 01.45 მხ/ფ "**დრაკონის თვალები**" 03.30 მხ/ფ "**კარგი ბიჭები**" 05.20 მხ/ფ "**ელიტარული საზოგადოება**"

06.00, 18.50 სერ. "**დესპოტი ქმარი**" 07.00, 20.03 სერ. "**დედამთილი**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" 15.30 სერ. "**მზიანი დღეები**" 16.55 სერ. "**ბზარი**" 22.00 არჩევანი 00.00, 01.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი 02.00 მხ/ფ

tv პირველი 7.55 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00 ქალების ნარატივი 12.00 სერ. "**რამონზე შეყვარებული**" 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება -NEWS 13.40, 23.00 უცხოეთის ამბები 14.00, 16.00 დიანა ტრაპაიძის დღის ამბები 15.00 საქმის კურსი 17.50, 0.00, 2.00, მხ/ფ 20.00 რეაქცია 22.30 საქმის კურსი 23.30 ღალატი

GDS 08.00 ან/ფ "**ვარსკვლავური ომები 2**" 09.00 სერ. "**შავი კოდი 2**" 11.00 მხ/ფ "**მრისხანების მართვა**" 13.00 სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები 5**" 17.00 სერ. "**სამხედროების ცოლები-4**" 19.00 სერ. "**ცისფერი სისხლი-6**" 21.00 სერ. "**ლურჯის ელფერი**" 22.00 მხ/ფ "**ვალკირია**" 00.40 მხ/ფ "**მატრიცა**" 03.00 მხ/ფ "**მატრიცა - გადატვირთვა**" 05.20 მხ/ფ "**მატრიცა - რევოლუცია**"

იბერია 08.00 ანანდა 08.10 მულტფილმი 08.20 მულტ/სერ. "დინოფროზი" 09.00 სერ. "**ბანდოლერა**" 10.40, 11.40, 12.40, 20.55, 21.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40, ახალი ამბები 12.00, 2.00 ბიზნესკოდი 14.30 ექიმის საათი 15.00, 01.30 მოდი გავეყაროთ 16.00, 2.40 ფაბრიკა 18.30 სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" 19.55 მე რომ ვიყო 20.00 თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " 21.00 სერ. "**გაქცეულები**" 22.00 სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" 23.00 ჰელლო თბილისი 00.00 მხ/ფ " **ახალი პოლიციური ისტორია**" 3.40 ცენზურის გარეშე

06.10, 10.10 სპექტაკლი "**ეზოში ავი ძაღლია**" 1, 2 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 დ/ფ "ველური ბუნება-დაბადებული ორანგუტანგებს შორის" 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.40 კონცერტი 11.15 სჯანი-"თეოსოფია, ანთროპოსოფია" 11.40 საეკლესიო აღმშენებლობა 12.05 კარაბადინი "პედიატრია" 12.35 საქართველო ევროპულ ოჯახში-"სასულიერო კულტურა" 13.20 ან/ფ "პინოქიო" 15.05 ქართული ან/ფ 15.25 დ/ფ "ბარტ ვულფი-რომი" 15.50 კონცერტი 17.10 ქრისტიანული ხელოვნება "თანამედროვე ქართული ტიხრული მინანქარი" 18.10 დ/ფ "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" I ნაწ. 18.30 ძველი აღთქმის განმარტება 18.45 ჩვენი ამბავი "იმპერიის ორსახოვანება" 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.20 დ/ფ "კახა ზარნაძე, კოტე ჩოლოყაშვილი" 19.50 ღია აუდიტორია "რამაზ გახოკიძე" 20.40 ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.15 გაცოცხლებული წარსული "შავნაბადა" 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სალბუნი "სისხლის განხილვა" 23.40 დეკორატიული ფლორა "ტიტა" 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.30 საღვთისმეტყველო საუბრები 01.30 კონცერტი

მაესტრო 10.00 - 23.00 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) 10.30 - 3.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**21 ნოემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი


აშშ დოლარი — 2.7268


ევრო — 3.2176


ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6097


100 რუსული რუბლი — 4.5750

## ამინდის პროგნოზი 21 ნოემბრისთვის




## 14 ნოემბრიდან

### უცხოეთში დაკარგული ქართველები




ბედის უკუღმართობით, XV-XIX საუკუნეებში ათასობით ქართველი აღმოჩნდა უცხო მხარეში. ამ წიგნის მიზანია, მკითხველს გაუზიაროს უცხოეთში დაკარგული ქართველების ერთი მცირე ნაწილის თავგადასავალი.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## 16 ნოემბრიდან




რომან გვენცაძის

### საბედისწერო გასროლა

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 21 ნოემბრიდან

შიო გვეტაძე

### მონანიება

ქართული დეტექტივი
მე-14 ტომი

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**




## იუმორი



ბავშვიანი ქალი ავტობუსში ავიდა და მძღოლის უკან სკამზე დაჯდა. მძღოლმა სარკეში თვალი შეავლო დედა-შვილს და ჩაილაპარაკა:

– ბავშვია თუ საფრთხობელა.

ქალმა გაიგო, ეწყინა, ადგა და უფრო უკან, თავისუფალ სკამზე გადავიდა, დაჯდა და გაბრაზებულმა ჩაილაპარაკა:

– უკულტურო, უზრდელი, უბრალოდ ნაძირალა.

გვერდით მჯდომი ეკითხება:

– რა მოხდა?

– უზრდელი მძღოლია.

– თქვენც მიდით და პირში უთხარით სათქმელი, მე კი მანამდე თქვენს მაიმუნს მივხედავ.

•••

გზაზე რაინდი მიდის. მიადგა გზაგასაყარს. ხედავს, შუაში ქვა დევს და ზედ აწერია:

„მარცხნივ წახვალ – დაგერხევა, მარჯვნივ წახვალ – დაგერხევა, პირდაპირ წახვალ – დაგერხევა“.

დგას და ფიქრობს, საით წავიდეს, ამ დროს ზევიდან ხმა ესმის:

– ჩქარა გადაწყვიტე, თორემ აქვე დაგერხევა!

•••

ბინაში პატარა ბიჭი დარბის, თაროებიდან წიგნებს გადმოყრის, კარადიდან ტანსაცმელს, სკამებს აყირავებს. ძიძა ეკითხება:

– რას აკეთებ?

– ვთამაშობ.

– ეგ რა თამაშია?

– შენი დედა... სადაა მანქანის გასაღები.

•••

მეზობელი მეზობელს ეკითხება:

– მიხო, ქორწილში რატომ არ მოდიხარ?

– ქორწილში რა მინდა? საჭმელ-სასმელი აქაც მაქვს, პატარძალთან კი მე არავინ მიმიშვებს და...

•••

სახლში დაბრუნებული სიძე სიდედრს ეუბნება:

– ზურგზე შემაფურთხე რა.

– რატომ, შვილო, რატომ უნდა შეგაფურთხო?

– ექიმმა მითხრა, ზურგის ტკივილს გველის შხამი უხდებაო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 23 ნოემბრიდან

ლაშა იმედაშვილი

### სამი მკვლელობა ძველ თბილისში

### პატრიარქის ზაფხული

ქართული დეტექტივი
ტომი 13

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**




## სერხიო რამოსი ოპერაციას არ გაიკეთებს



მადრიდის რეალის მცველმა სერხიო რამოსმა ატლეტიკოსთან შეხვედრის დროს ცხვირის დაზიანება მიიღო. ატლეტიკოს ფეხბურთელთან ორთაბრძოლის დროს რამოსს ცხვირი გაუტეხეს და მას დროზე ადრე მოუწია მოედნის დატოვება.

ვარაუდობდნენ, რომ სერხიოს ცხვირზე ოპერაცია დასჭირდებოდა, მაგრამ ტრავმა ასეთი სერიოზული არ გამოდგა და ოპერაცია საჭირო არ არის.

რამოსი დაახლოებით ერთ კვირას დაისვენებს და აპოელის წინააღმდეგ შეხვედრაში მონაწილეობას არ მიიღებს.

აპოელს მადრიდის რეალი სტუმრად 21 ნოემბერს დაუპირისპირდება.

## ანტონიო კონტეს იტალიის ნაკრებში ეპატიჟებიან



იტალიის ნაკრების ახალი მწვრთნელის ვინაობა ჯერჯერობით ისევ უცნობია. ვენტურას განთავისუფლების შემდეგ ამ პოსტზე ბევრი კანდიდატურა განიხილება და ერთ-ერთი მათგანი ანტონიო კონტეა, რომელიც ნაკრებს ვენტურას მისვლამდე ხელმძღვანელობდა. კონტე ამჟამად ჩელსის დამრიგებელია, მაგრამ ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ის მალე ჩელსიდან წავა.

კონტეს გარდა, იტალიის ნაკრების მწვრთნელის კანდიდატურაზე კარლო ანჩელოტიც განიხილება, რომელსაც იტალიის ფეხბურთის ფედერაცია უკვე დაუკავშირდა.

## პიკე ვალენსიასთან შეხვედრას გამოტოვებს



ბარსელონას ცენტრალურმა მცველმა ჟერარ პიკემ ლეგანესთან შეხვედრის დროს ყვითელი ბარათი მიიღო, რომელიც მისთვის მეხუთე აღმოჩნდა. ეს იმას ნიშნავს, რომ პიკე შემდეგ შეხვედრას გამოტოვებს, შემდეგი შეხვედრა კი ბარსასთვის საკმაოდ რთული იქნება სტუმრად ვალენსიასთან.

პიკემ ყვითელი ბარათი პირველივე ტაიმში მიიღო და ამის გამო მას მსაჯთან კონფლიქტიც მოუვიდა. პიკეს აზრით, მსაჯმა იცოდა, რომ ეს ბარათი მისთვის მეხუთე იქნებოდა და სწორედ ამიტომ გააფრთხილა ბარსელონას ცენტრალური მცველი.

ვალენსიასთან შეხვედრა კვირას, 26 ნოემბერს, გაიმართება და ამ მატჩში ერთმანეთს ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერები დაუპირისპირდებიან.

## ჰარი კეინს ტოტენჰემიდან წასვლა არ უნდა



ტოტენჰემის მთავარმა ბომბარდირმა ჰარი კეინმა განაცხადა, რომ ტოტენჰემიდან წასვლა არ სურს.

კეინის თქმით, გუნდში ყველაფერი იდეალურად არის და ტოტენჰემი მისი სახლია, რომლის დატოვებასაც ის არ აპირებს. კეინის შეძენა ბევრ კლუბს სურს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჰარიმ წლევანდელ სეზონში შესანიშნავი სტარტი აიღო და უკვე ბევრი გოლი გაიტანა. კეინის მომავალ კლუბად მადრიდის რეალს ასახელებენ, თუმცა ჯერჯერობით ჰარი გუნდის შეცვლას არ აპირებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## გრიგორ დიმიტროვმა წლის შემაჯამებელი მასტერსი მოიგო



ბულგარელმა ჩოგბურთელმა გრიგორ დიმიტროვმა წლის შემაჯამებელი მასტერსი მოიგო, რომელიც ყოველ წელს ლონდონში ტარდება.

წლევანდელი მასტერსი შედარებით სუსტი შემადგენლობით იყო წარმოდგენილი, რადგან ტურნირში მონაწილეობას არ იღებდნენ ნოვაკ ჯოკოვიჩი და ენდი მარეი. მიუხედავად ამისა, დიმიტროვის ეს გამარჯვება მისთვის კარიერაში საუკეთესოა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დიმიტროვმა ამ ტურნირში მონაწილეობა პირველად მიიღო.

ფინალში დიმიტროვმა დავიდ გოფენი დაამარცხა სამ სეტში, ანგარიშით 6:4, 5:7, 6:3.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ნარკომანი მაიმუნი ბენზინის სმას მიეჩვია



ინდოეთის ხარიანის შტატის ქალაქ პანიპატში გარეული მაიმუნი ბენზინის სმას შეეჩვია, ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ვაჭრებმა შენიშნეს, რომ სანამ ისინი ბაზარში მუშაობდნენ, ვიღაც მათი მოტოციკლებიდან საწვავს ქაჩავდა. მათ გადაწყვიტეს ეთვალთვალათ და ქურდი გამოეჭირთ. მათ გასაკვირად კი აღმოაჩინეს, რომ ყველაფერში დამნაშავე მაიმუნი იყო, რომელიც ბენზინს სვამდა.

ცხოველი მშვიდად იჯდა მოტოციკლების სადგომთან და ელოდებოდა, თუ როდის წავიდოდნენ ადამიანები. შემდეგ ხსნიდა საწვავის შლანგს და ავზიდან ბენზინს სვამდა.

მოვაჭრეთა ადგილობრივი გაერთიანების ხელმძღვანელი გაურავ ლიხა ამტკიცებს, რომ მაიმუნი ახლოსაც არ ეკარება ბანანებსა და ხილს.

– არა მგონია, რომ მან ოდესმე ვინმე შეაწუხოს, ვინაიდან მუდმივად „კაიფში“ იმყოფება, – შენიშნა გაურავ ლიხამ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა




**შვეულად:** 1. გერმანიაში გამოყვანილი სამომსახურეო ჯიშის ძაღლი; 2. კოსმოსური ხომალდის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია დედამიწაზე დასაშვებად; 3. იტალიური რესტორანი; 4. გადასატანი მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური; 5. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, დიდი ფრინველი; 6. ქუთაისთან დამეგობრებული საფრანგეთის ქალაქი; 7. ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. მეფის სიგელი; 13. ფულის ერთეული ყაზახეთში; 17. აღმოსავლური ტკბილეული; 18. უქოჩრო, მოლაპარაკე თუთიყუში.

**თარაზულად:** 1. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 3. ზოგიერთი მცენარის, მიწისქვეშა გამსხვილებული ფესვი; 8. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 10. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 12. უბანი ძველ თბილისში; 14. მსუბუქი ტრფიალი, არშიყობა; 15. რაიონული ცენტრი კახეთში; 16. ჩამოწოლილი ნისლი, ბურუსი; 19. კოლუმბიის დედაქალაქი; 20. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 21. საქართველოს რაგბისტთა გუნდი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**